



ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru



№419 (478) 28 ნოემბერი-12 დეკემბერი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი სირცხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – ააქაი შანიძე

**მსოფლიოს
სამეცნიერო
საზოგადოება
თანხმდება –
საქართველო
უძველესი მედიცინის
ქვეყანაა!** 88.3

**რას ამბობს
სააკაშვილი
გამსახურდიაზე** 88.11

**ლუარა სორდია:
მერაბ
კოსტავას
პოეზია** 88.6

**88.11 ვიქტორ სანაევნი:
“გაბეჭინებათ, მებრამ 90-
იანი წლების მიწურულს
ვიცხასაც დავატარებდი”**



**ლავრენტი
ბერიძე –
საბჭოთა
კავშირის
ცილდანამებული
გმირი** 88.4

**ჰაელაზ ჭიკაშვილი:
ევროკომისიის
ანგარიშთან
დაკავშირებით** 88.2



**ანა კალანდია:
როდის გამოცხადდა
მეგადაპიტიის
ეკლესიასთან
არსებული ტერასა
კანთაონად** 88.3



**ნიკა
კორინთელი:
სოროსის
სია** 88.5



**ჯანსაღი ცხოვრების
5 წესი ლეო
ბოქერიასგან** 88.10

**ავთანდილ
ციხისთავი:
კულტურას
განათლება
ავითარებს** 88.7

მსოფლიოს საეცნიერო საზოგადოება თანხმდება — საქართველო უძველესი მეღვინეობის ქვეყანაა!



საქართველოში აღმოაჩინეს ღვინის ქვევრების ფრაგმენტები, რომელიც, სავარაუდოდ 8 ათასი წლის წინანდელია, ამის შესახებ ბრიტანული BBC და ამერიკული New York Times წერენ.

“ზიზისის” ინფორმაციით, ქვევრების ნაწილები თბილისიდან სამხრეთით, ორ სხვადასხვა ადგილას იპოვეს.

ღვინის რამდენიმე ჭურჭელზე ამოტვიფრულია მოცეკვავე კაცი და ყურძნის გრაფიკები.

BBC წერს, რომ მანამდე ყველაზე ძველად ირანში ნაპოვნი ქვევრი მიიჩნეოდა, რომელიც 7 ათასი წლით თარიღდება.

ბოლო აღმოჩენის შესახებ კი ჟურნალში Proceedings of the National Academy of Sciences გამოქვეყნდა.

მკვლევარების ინფორმაციით, ქვევრები ორ ნეოლითის ხანის სოფელში აღმოაჩინეს, “გადაჭრილ გორასა” და “შულავერის გორაზე”, თბილისიდან დაახლოებით 50 კმ-ს დაშორებით.

გამოცემები აღნიშნავენ, რომ საქართველოში ღვინოს ახლაც უძველესი მეთოდით აყენებენ.

ყველაზე ძველი ღვინო კი, რომელიც ყურძნის ნაცვლად ბრინჯისგან, თაფლისა

და ხილისგან მზადდებოდა, ჩინეთში აღმოაჩინდა. სასმელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 7 ათასი წლით თარიღდება.

აშშ-ის მეცნიერებთა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი „PNAS“ (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალი) აქვეყნებს სტატიას სახელწოდებით „Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus“ („საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“). ქართველებთან ერთად, სტატიის ავტორები არიან მეცნიერები აშშ-დან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, დანიიდან და ისრაელიდან.

სტატია მოგვითხრობს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ახალნაპირებულ მულტიდისციპლინარული კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძვ.წ. 6000-5800 წლებში, ე.ი. 8000 წლის წინ აყენებდნენ.

2014 წლიდან, „ასოციაცია ქართული ღვინოს“ ინიციატივით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ღვინოს ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობს საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ პროექტს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“. მასში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INRA) თანამშრომლები. „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის“ პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ლორთქიფანიძე, ხოლო კოორდინატორი

— ღვინის ეროვნული სააგენტოს მეცნიერი, დოქ. დავით მადრაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითური ხანის (ძვ.წ. VI ათასწლეული) ძეგლების კვლევა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდნენ ალექსანდრე ჯავახიშვილი, ოთარ ჯაფარიძე და თამაზ კილურაძე. ამჟამად გათხრებს ხელმძღვანელობს არქეოლოგი მინდია ჯალაბაძე. უკანასკნელ წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მხარდაჭერით არიან ღვინის ეროვნული სააგენტო, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ტორონტოს უნივერსიტეტი.

როგორც ამ წერილის შესავალ ნაწილში აღნიშნული, პროექტის ფარგლებში პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბიომოლეკულარული კვლევების შედეგად მარნეულის რაიონში მდებარე ნეოლითის პერიოდის „გადაჭრილ გორის“ და „შულავერის გორის“ არქეოლოგიურ ძეგლებზე უკანასკნელი პერიოდის გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კედლებზე ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების (ღვინის მჟავა, ვაშლმჟავა, ქარვამჟავა და ლიმონმჟავა) არსებობა დადასტურდა, რაც Vitis vinifera-ს ვაზის ჯიშისგან დამზადებული ღვინის მარკერია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკების ელისო ყვავაძისა და ნანა რუსიშვილის მიერ მუზეუმში ჩატარებულმა პალეობოტანიკურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ადრეული ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში ვაზის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული.

მილანის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ოსვალდო ფაილას ხელმძღვანელობით აღადგინეს ძვ.წ. VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისთვის შესაბამისი პირობები იყო. ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში ელიზაბეტა ბოარეტოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად C14-ის დათარიღების მეთოდით ნიმუშების ასაკი განისაზღვრა ძვ.წ. 6000-5800 წლებით, რაც 600 წლით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან (ირანი).

ამრიგად, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ აღიარა, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, საიდანაც ის შემდეგ გავრცელდა მთელ მსოფლიოში და უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურის, ბიოლოგიის, მედიცინისა და, ზოგადად, ცივილიზაციების ჩამოყალიბებაზე.

ამ აღმოჩენამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი სომხების, ბერძნების თუ სხვა ავისმოსურნეთა ყარყაშს იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ისინი წარმოადგენენ ღვინის უპირველეს სამშობლოს.

საბ.068.



როლის გამოხატვა მთავარი იყო ეკლესიასთან არსებული ბერის პანთეონად



პანთეონი ბერძნული სიტყვაა და თავდაპირველად „ყველა ღმერთის ტაძარს“ აღნიშნავდა. ასეთი ტაძარი მდებარეობდა რომში და იქ წარმართული ღვთაებების კერები იდგა. მოგვიანებით პანთეონი ეწოდა ასევე გამოჩენილ ადამიანთა სასაფლაოს ან აკლდამას. პანთეონებს, როგორც წესი, ტაძრებთან ახლოს, მის შემოგარენში აარსებდნენ. გამოირჩეული არ არის, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონია, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე რომელიღაც წარმართული ღვთაების კერა მდგარიყო.

VI საუკუნეში აქ დასახლდა ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი — დავითი, რომელმაც სამლოცველო ააგო. მოგვიანებით, ის გარეჯის უდაბნოში გადავიდა და მას შემდეგ ასურელ მამას დავით გარეჯელად მოიხსენიებენ. იმ ადგილას, სადაც დავითის სამლოცველო იდგა, ჯერ ღვთისმშობლის ეკლესია ააგეს, შემდეგ ბერად შემდგარმა ძმებმა დავით და ნიკოლოზ გააბაშვილებმა „წმინდა დავითის“ სახელზე ღვთისმშობლის სახელობის სახანე ააღორძინეს. XVI საუკუნის ბოლოს კი ეკლესია ხელახლა ააშენეს ათონის წმინდა მის სახელით ათონიდან მოსულმა ბერებმა. ეს ეკლესია შემდგომში დიდხანს იყო დანგრეული და უმოქმედო, მისი ხელახალი აგება 1810 წელს კათოლიკოს ანტონ მეორის სახელს უკავშირდება. 1817 წელს კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ ალექსანდრე ერმოლოვის ბრძანებით, მთაზე ამაველი პატარა ბილიკის ადგილას

ფართო გზა გაიჭრა. ეკლესიის ეზო გაღვივდა შემოღობეს და იქვე მცირე ზომის სამრეკლოც ააგეს, რომლის ადგილი მოგვიანებით ფერისცვალების პატარა ეკლესიამ დაიკავა.

დღესდღეობით არსებული წმინდა დავით გარეჯის ანუ მამადავითის ეკლესიის მშენებლობას ფინანსურად დედაქალაქის მცხოვრებნი ესმარებოდნენ და ამავდროულად ფერდობზე საშენი მასალის აზიდვაშიც მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, თანხა მაინც არ იყო საკმარისი, რომ მშენებლობა დროში არ გაწელილიყო და მალე დასრულებულიყო, ამიტომ მამა დავითის ეკლესიის მშენებლობა 12 წელს გრძელდებოდა. დღესდღეობით არსებული წმინდა დავითგარეჯის ანუ მამა დავითის ეკლესია 1859-1871 წლებში შენდებოდა, ხოლო გუმბათი რვა წლის შემდეგ დაადგეს. ინტერიერის მოწყობაც გართულდა და ეტაპობრივად წარმოებოდა, მაგალითად კანკელი ანჩისხატის ეკლესიიდან წამოიღეს. კედლებიც მოგვიანებით მოიხატა, კერძოდ XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ს დასაწყისში.

არანაკლებ საინტერესოა, თუ როგორ მოხდა მამადავითის ეკლესიის შემოგარენში, მთაწმინდის პანთეონის დაარსება. ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ქორწინება ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული ფაქტი იყო იმ დროის თბილისში. 34 წლის რუსი მწერლისა და დიპლომატის და პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის 16 წლის ქალიშვილის ჯერისწერა სიონის ტაძარში 1828 წლის 22 აგვისტოს გაიმართა. ახალდაქორწინებულები ირანში გაემგზავრნენ. მათი მარშრუტი ასეთი იყო: კოლა, შულავერი, ერევანი, თავრიზი. აქედან გრიბოედოვს თეირანში გამგზავრება მოუხდებოდა, საიდანაც ის ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. ქმარმა ნინო თავრიზში დატოვა, ქალი 5 თვის ფეხმძიმე იყო.

თეირანიდან მოსული ცნობა, რომელიც ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალებას იუწყებოდა, ნინოს დაუმალეს. ეუბნებოდნენ, რომ კაცი იმდენად დაკავებული იყო, რომ წერილების წერას ვერ ახერხებდა და თეირანში კიდევ დიდხანს მოუწევდა დარჩენა. ერთხელაც, „გადასცემ“ რომ თითქოსდა გრიბოედოვი ცოლს თბილისში დედასთან გამგზავრებას სთხოვდა და

მეუღლეს ჩასვლას იქ დალოდებოდა. ქალიშვილს ალექსანდრე ჭავჭავაძე ჯულფაში შეეგება და თბილისში ჩამოაცილა.

დრო გადიოდა, მაგრამ ნინო ამაოდ ელოდა მეუღლისგან წერილს. სიმარტლის დამალვა მისი ოჯახის წევრებსა და გარემოში შემოქმედებული დღითიდგე უხელოდებოდა. ერთ დღესაც პოეტის ქალიშვილს სტუმრად გრაფი პასკევისის მეუღლე ესტუმრა, რომელიც ალექსანდრეს ბიძაშვილი იყო. სწორედ მისგან შეიტყო ნინომ მეუღლის გარდაცვალების ამბავი. შოკისმოგვრულმა ინფორმაცია, რომელიც დიდი სტრეი გამოიწვია, ნინოს დედობრივი ბედნიერების შეცნობის სასო წაართვა — მას მეცხელი მოეშალა.

... გრიბოედოვის ანდერძის თანახმად, ნინომ მეუღლის ნეშტი თბილისში ჩამოასვენებინა და მთაწმინდაზე საგანგებოდ მომზადებულ მღვიმეში დაკრძალა, რომლის ფორმირებაც გაკეთდა წარწერა: „აქ დაკრძალულია გრიბოედოვის ნეშტი“. შემდგომში კი საფლავზე დადგეს მარმარილოს ძეგლი ბრინჯაოს ჯვარცმითა და მის ქვეშ დამსობილი მტრისთვის ქალის ფიგურით. კვარცხლბეკის წინა მხარეზე მწერლის ბარელიეფია, სამარხის თავზე კი წარწერა: „აქ მდებარეობს გუამი გრიბოედოვისა, აღუშენა ძეგლი ესე მეუღლემან ნინა თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულმა 1832 წელს“.

ადრეულ ასაკში დაქვრივებული ნინო მეორედ აღარ გათხოვილა. 1857 წელს, როცა პოეტის ქალიშვილი გარდაიცვალა, მისმა დამ, სამეგრელოს დეოფალმა კვარციანზე ჭავჭავაძემ ის გრიბოედოვის გვერდით დაკრძალა. მოგვიანებით სწორედ აქ არსებულ ტერასაზე გაშენდა გამოჩენილ ადამიანთა სასაფლაო, რომელიც 1929 წელს ოფიციალურად გამოცხადდა მწველათა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად, თუმცა, ამ ადგილას მისი დაარსების იდეა, კიდევ უფრო ადრე გაჩენილა, როცა იქ ჯერ ილია დაკრძალეს, 1915 წელს კი — აკაკი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პანთეონის ოფიციალურ „კურთხევამდე“, ეკლესიასა და მის გულავანში რამდენიმე ცნობილი და წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო დასაფლავებული. მათ შორის იყვნენ: დავით რექტორი (ალექსი-მესხიშვილი),

რომან ბაგრატიონი, ონისე იოსელიანი — მეფე ერეკლე II-სა და გიორგი XII-ს კარის მოძღვარი და სხვები, რომელთა საფლავები დღეს უკვე აღარაა შემორჩენილი. ერთ-ერთი პირველი, რომლის ნეშტიც მთაწმინდას მიაბარეს, დიმიტრი ყიფიანი იყო.

მთაწმინდის პანთეონი მკვიდრთა ჩამონათვალი შორს წავიყვანს, თუმცა, აქვე უნდა გავიხსენო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სიმონ ჩიქოვანის სახელთან დაკავშირებული ერთი ემოციური ამბავი. მისმა მეუღლემ არ ისურვა ქრისტიან შორს დაემარხათ, დაიბარა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სხეული დაეწვით და ფერფლი ქმრის საფლავზე მოეხიათ. ანდერძი შეუსრულეს და კრემაციის შემდეგ, სიმონ ჩიქოვანის საფლავს მისი მეუღლის, მარიკა ელიავას ფერფლი მოაყარეს.

სიკვდილზე საუბარს ირონია არ უხდება, თუმცა, ვერ გავიწყვით იმ რეალობას, რაც პანთეონის გახსნის დღიდან დღემდე არსებობს. მთაწმინდაზე დაკრძალვაზე არაერთი მოკვდავი თუ მისი ოჯახის წევრი „ოცნებობს“, რომ სამუდამოდ დაიმკვიდროს „უკვდავის“ სახელი. აქედან გამომდინარე, საზოგადოების მუდმივი განხილვის თემაა, ვინ იმსახურებს და ვინ არა მთაწმინდაზე დაკრძალვას.

ვინაიდან საფლავების პროექტები და მასალა მრავალფეროვანია, ერთი სტილი არ არსებობს და, ბუნებრივია, მათ მონაწილედ აქ სხვადასხვა თანხა იხარჯება. პროექტი გარდაცვლილის ოჯახის წევრებთან თანხმდება, ისინი არქიტექტორთან ერთად ერთობლივად წვეჭენ საფლავის ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს.

მთაწმინდის პანთეონის ისტორიაში ბოლო წერტილის დასმა 2009 წლის შემოდგომაზე იგეგმებოდა. ქალაქ თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, უადგილობის გამო, მთაწმინდის პანთეონი დასურულად უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა, ასე არ მოხდა. გამონაკლისი დაუშვეს და 2010 წელს იქ მუხრან მაჭავარიანი დაკრძალეს, 2016 წელს — ბახანა ბრეგვაძე, 2017 წელს კი ჯანსუღ ჩარკვიანი.

ანა კალანდია

ლავრენტი ბერიძე – საბჭოთა პავშირის ცილდაჭამებული ბერი



რაც შეეხებოდა უშუალოდ “ეჟოვის საქმეს”, საკმარისი გაეცნოთ მის დასკვნით სიტყვას სასამართლო პროცესზე (03.04.1940 წ.), სადაც ნიკოლოზ ივანეს ძე ჯაშუშობაში ბრალს სდებს ყველა ყოფილ კოლეგას და ამტკიცებს, რომ თავად არ გახლავთ... პოლონეთის ჯაშუში. გაუგებარია, თუ რატომ მაინცდამაინც “პოლონეთის ჯაშუში”, როცა ნიკოლოზ ეჟოვი დაკითხვისას გარკვევით მიუთითებდა, რომ ერთგულად ემსახურებოდა გერმანულ სპეცსამსახურებს.

ახლა კი “ეჟოვშინის გრიმასების” თაობაზე.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ სტალინის დროს გასამართლდა საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის გამოჩენილი კონსტრუქტორი სერგეი პავლევი ძე კოროლიოვი – მაგრამ არაფერ იცის, თუ კონკრეტულად რა დანაშაულისათვის. 1937-1938 წლებში კოროლიოვი მუშაობდა ფროსანის და სახენიტო მართული რაკეტების შექმნაზე. დღეს ისინი სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენენ. ამიტომ, უცნაურია, რომ აპატიმრებენ ადამიანს, რომელიც მუშაობს ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი იარაღის შექმნაზე. თუმცა, ვაღიაროთ, რომ ეს ფაქტი დღეს გამოიყურება უცნაურად. მაგრამ როცა კოროლიოვი ისინი იყო დაიწყო მუშაობა, ავტობიოლოგის კონსტრუქტორებმა წამსვე დაიწყეს მტკიცება, რომ არ არსებობს ისეთი მართვის სისტემის შექმნის ვარიანტი, რომელიც იმოქმედებს რაკეტის ფრენის დროს – თუნდაც იმდენ, რომ იქ სასტარტო გადატვირთვები ბევრად უფრო მეტია თვითმფრინავის ნებისმიერი ევოლუციის დროს არსებულ გადატვირთვებზე. და, სამწუხაროდ, ინჟინრები მართლაც აღმოჩნდნენ. თვით კონსტრუქტორებმაც კი, რომელთაც გვაჯობებს რამდენიმე თაობის ხელსაწყოთმშენებლობის საქმეში, შეძლეს შეექმნათ მფრინავი ფროსანის რაკეტა ფიხელერ-103, რომელიც უფრო ცნობილია როგორც FAU-1 – მხოლოდ 1943 წელს. გერმანული სახენიტო რაკეტები კი ქაღალდზე დარჩნენ ომის დამთავრების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებს ისინი პაერივით სჭირდებოდათ ინგლისური ავიაციების მასიური თავდასხმებისაგან გერმანული ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დასაცავად. მაგრამ არ გამოუვიდათ – გერმანელებმა ვერ შექმნეს სრულყოფილი სახენიტო რაკეტები. გარდა ამისა, გერმანელები რაკეტა ფიხელერ-103-ში იყენებდნენ საჰაერო-რეაქტიულ ძრავას – მჟანგავს იგი პაერიდან იღებდა, ბორტზე კი მხოლოდ საწვავი ჰქონდა. კოროლიოვი კი ფროსან რაკეტას ამზადებდა თხევად საწვავზე, რომელსაც ბორტი საწვავიც უნდა ეტარებინა და მჟანგავი ნივთიერებაც. სავსებით ნათელია, რომ ენერგომარაგი ბევრად უფრო ნაკლებტევადი იყო, ვიდრე გერმანულ ვარიანტში. ფიხელერ-103 ფარავდა სამას კილომეტრამდე მანძილს, კოროლიოვის რაკეტას კი მხოლოდ 30 კილომეტრამდე ფრენა შეეძლო. სამხედროებმა

მაშინვე განაცხადეს, რომ ამ მანძილის დამფარავი რაკეტა მათ არ სჭირდებოდათ, რადგან იგივე მანძილი მცელავი ფრენით შეეძლო გაეფლო ნებისმიერ თვითმფრინავს, შეუმჩნეველად მიახლოვოდა სამიზნეს და ზუსტად გაეშვა რაკეტა. თქვენი რაკეტა კი, ბატონო კოროლიოვი, ჯერ ერთი, აუცილებლად აცდება მიზანს, მეორეც, იგი იმდენივე ღირს, რამდენიც ჩვეულებრივი თვითმფრინავი, რომელიც ერთჯერადი რაკეტისაგან განსხვავებით უკან დაბრუნდება და კიდევ ბევრი ხანი იმუშავებს. არ გვჭირდება ჩვენ, თქვენი რაკეტა ამგვარი მახასიათებლებით! მაგრამ კოროლიოვის, ეს რაკეტა, რატომღაც ძალიან აინტერესებდა.

გამოჩენილმა საბჭოთა ფიზიკოსმა ლევ არციმოვიჩმა ერთხელ მახვილგონიერულად შენიშნა: “მეცნიერება პირადი ინტერესების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალებაა სახელმწიფოს ხარჯზე”. მართალია, სტალინის ეპოქაში საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება საკმაოდ ხარისკო საქმე იყო.

კოროლიოვი ისევე სისხლისმიერად იყო დაინტერესებული თავისი საქმით, როგორც ყველა იმდროინდელი რაკეტათმშენებელი: არც თუ ტყუილად, რეაქტიული მოძრაობის მკვლევარი ჯგუფი (ГИРД – Группа Исследования реактивного Движения. ხუმრობით კი იგი იმიფრებოდა როგორც *Группа Инженеров Работающих Даром*) ამ იდეით იყო მაშინ მოწამლული. საბოლოო ჯამში კოროლიოვიმ გააკეთა ფროსანის რაკეტის ოთხი ეკსპერიმენტი. ყველა ისინი იქით მიფრინავდნენ, საითაც უფალი მოისურვებდა. ერთ-ერთი მათგანი ღმერთმა გაგზავნა იმ ბლინდაუსაკენ, სადაც ცენტრიდან ამგვარი ეკსპერიმენტი იარაღის შესაძლებლობებზე დასაკვირვებლად იმყოფებოდნენ საბჭოთა გენერლები. გასაკვირია, რომ კოროლიოვი მეცხუეულად დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერლებზე თავდასხმა, სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივად გამოყენება (რადგან ინსტიტუტი, რომელიც მუშაობდა სარაკეტო ჯგუფების კონსტრუქტორებაზე, ფინანსდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე) და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის დასუსტებისადმი მიმართული ძირგამომხრელი საქმიანობა. მაგრამ გამოძიების დაწყებისთანავე გაპირიციხა ბრალდება გენერლებზე თავდასხმის თაობაზე, რადგან თუ რაკეტა უთავბოლოდ დაფრინავდა, თუ არ ხერხდებოდა მასზე ავტობიოლოგის დაყენება, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მისი დამიზნებით გაშვება ბლინდაუსაკენ. და მიუხედავად იმისა, რომ კოროლიოვი პირველი კატეგორიის ბრალდებით დააპატიმრეს, რაც სასჯელის უმაღლეს ზომას იმსახურებდა, მის მიმართ წაყენებული ბრალდებები თანდათან გაცემტვერდა და “ცნობისმოყვარე მეცნიერს” 10 წლით ციხე მიუსაჯეს სხვა შეცოდებებისათვის. ამასთან, ეს რომ ეჟოვის ზეობის დროს მომხდარიყო, ნაკლებად სარწმუნოა, რომ ახლა ჩვენს მეხსიერებას შემორჩენოდა კოროლიოვის სახელი. იგი მხოლოდ იმ სივრცეში იქნებოდა მოხსენიებული, რომელიც შექმნიდათ მონაცემები მხოლოდ “ხალხის მჭირებზე”. მაგრამ ბერიძის პერიოდში დახერხების ბრალდებას გადახედეს და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი ჰქონდა (როცა შენ აკეთებ რაიმე გამოუსადეგარ ნივთს, რა თქმა უნდა, მასზე დახარჯული სახსრები არამიზნობრივად იქნება მიჩნეული). მაგრამ, თავდაცვისუნარიანობის შეწყვეტის მცდელობას ნამდვილად არ ჰქონია ადგილი, რადგან კოროლიოვი მოქმედებდა არა მტრული განზრახვით, არამედ კეთილი გაუგებრობით და ამიტომ, პატიმრობის ვადა 10 წლიდან 8 წლამდე დაუქვანეს, სამხედრო სახსრების უყიარათოდ გამოყენების ბრალდებით. თანაც, ეს წლები მან დახურულ საკონსტრუქტორ

ბიუროებში გაატარა და მისი ნიჭი გამოყენებული იქნა დანიშნულებისამებრ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი დამოკიდებულებისათვის ხაზინისადმი კოროლიოვი დღესაც იგივე სასჯელს მიიღებდა, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე დადგებოდა ხაზინის ინტერესების დასაცავად.

და რახან ასეთი საუბარი წავიდა, კიდევ რამდენიმე სტრიქონი მივუძღვნათ მთავარს. ფულს!

ანდრეი ნიკოლოზის ძე ტუპოლევი. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ჩასვლით ციხეებში რიგი საბჭოთა კონსტრუქტორებისა. ლიბერალი ისტორიკოსები ამას სტალინის დესპოტიზმად თვლიან. სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად იყო. აი, რას წერს ამის თაობაზე იური მუხინი.

სამამულო კონსტრუქტორების უუნარობის გამო, რომელთაც არ შეეძლოთ საბჭოთა საჰაერო ძალების თანამედროვე მანქანებით აღჭურვა, ტუპოლევის დავევალა შეესყიდა ამერიკული თვითმფრინავები, რომელთა ბაზაზე საბჭოთა კავშირი შესძლებდა საბრძოლო თვითმფრინავების გამოშვებას. ტუპოლევიმ შეკრიბა სამოცაოციანი ჯგუფი იმ ხალხისაგან, რომლებსაც გარკვეული შემხებლობა გააჩნდათ ავიაციასთან და მათთან ერთად რამდენიმე თვით გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ბიზნესტურით მოხერხდა ამერიკელებისაგან სამი დივიზიონის მიღება თვითმფრინავებზე, რომელთა ნახაზები ამერიკელებმა მათთან დამკვიდრებული საზომით – დუიმზე გათვლით შეადგინეს.

იმისათვის, რომ ეს თვითმფრინავები სამამულო წარმოების დეტალებისაგან აეწყოთ, რომელიც, ჩვენეილი სტანდარტით – მილიმეტრებით იზომებოდა, საჭირო გახდა მთელი კონსტრუქციის გადაანგარიშება, რათა ახალი თვითმფრინავი შეექმნათ. ეს კი სრულიად ახალი თვითმფრინავის კონსტრუქციის შექმნის ტოლფასი იყო. ამგვარად მოხერხდა სიკორსკის სატრანსპორტო თვითმფრინავის “DC-3”-ის ანალოგის შექმნა (“ЛИ-2”). ამისათვის საჭირო გახდა, რომ გვემოური სამუშაოებიდან გამოეხმით მისიშევის ავიასაკონსტრუქტორ ბიურო. ამრიგად, ტუპოლევიმ წყალში ჩაყარა სახელმწიფო სახსრები, მაგრამ დღევანდელი უზომოდ დატვირთული დაბრუნდა ამერიკიდან... კონსტრუქციით, ფესვსაგმელებით, მაცივრებით...

ამის შემდეგ ამერიკული ტანსაცმლით გამოპრანჭულმა დღევანდელმა მუშაობა ციხის კედლებში განაგრძო. რას იხამ, სტალინი ისეთი მკაცრი იყო, რომ არც თავად იპარავდა და არც სხვებს აძლევდა ქურდობის უფლებას.

მოდით, “რეპრესიების” ამ ორი არაჩვეულებრივი მაგალითით შემოვიფარგლოთ და საქმეზე გადავიდეთ:

- უკვე 1939 წლის 10 იანვარს მოეწერა ხელი ბრძანებას სსრკ შინსახკომთან განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს შექმნის თაობაზე, რომლსაც შინსახკომი უხელმძღვანელებდა. თემატიკა წმინდად სამხედრო გახლდათ. ბიუროს შემადგენლობაში შედიოდნენ შემდეგი ჯგუფები:
 - ა) თვითმფრინავთმშენებლობისა და პროპელერების ჯგუფი;
 - ბ) საავიაციო ძრავებისა და დიზელის ჯგუფი;
 - გ) სამხედრო-სახლავო გემთმშენებლობის ჯგუფი;
 - დ) თოფისწამლის ჯგუფი;
 - ე) საარტილერიო ჯგუფებისა და ამფეთქებლების ჯგუფი;
 - ვ) საჯავშნე ფოლადის ჯგუფი;
 - ზ) საბრძოლო მოწამლეული ნივთიერებების და ქიმიურსაწინააღმდეგო ნივთიერებათა ჯგუფი;
 - თ) №82 ქარხანასთან არსებული ავიადიზელ AH-1-ის სერიულად დანერგვის ჯგუფი.

ური დაცვა... ასობით მალაქკალიფიციური სპეციალისტ ბანაკებში იყო გამოკეტილი, იმის ნაცვლად, რომ დღემუდამ ეჭვდობა გამარჯვების იარაღი და სამშობლოს დასაცავი ფარი. ვერცერთი მტერი ვერ მოაწყობს ამგვარ მასშტაბურ დივერსიას, რომელიც ამაღლელებული ღოზუნგებითა და ცარიელი სიტყვებით იქნებოდა ევალირებული.

მაგრამ, მოდით, დავებრუნდეთ ტუპოლევის. 1938 წლის შემოდგომაზე იგი გადაიყვანეს მოსკოვის გარეუბან ბოლშევოში მდებარე დიდ შრომა-გასწორებით ბანაკში და მალე მოვიდა ბერიძის განკარგულება – სასწრაფოდ გაეკეთებინა ოთხ-მოტორიანი მოპიკირე ბომბდამშენი. ამ ამოცანის შესრულება ტექნიკურად შეუძლებელი იყო, რის თაობაზეც ტუპოლევიმ აცნობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს. მოგვიანებით იგი მოუთხრობდა თავის ამხანაგებს:

“იგრძნობოდა, რომ ჩემმა მოხსენებამ ბერია გააღიზიანა. როცა დავამთავრე, აშკარად გაბრაზებულმა გამომხედა. როგორც ჩანდა, ПБ-4-ის თაობაზე იგი სტალინს ესაუბრა და ალბათ დაარწმუნა კიდევ მე ეს მაცვებდა, რადგან სტალინთან ადრეული მიღებებისას ამ თემაზე საუბარში თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ თუ სტალინიმ ავიაციის ნიუანსები კონსტრუქტორის დონეზე არ იცოდა, ყოველი შემთხვევისათვის, საკმაოდ კომპეტენტური იყო ამ საკითხებში. ბერიძემ თქვა, რომ იგი სტალინთან ერთად გაარკვევს ყველაფერს. ერთი დღე და დამე ვინერვიულე. შემდეგ კი კვლავ გამომიძახეს. “ამრიგად, – მითხრა ბერიძემ, – მე და სტალინი ყველაფერზე შევთანხმდით: აშკარად გადავწყვიტეთ ორმოტორიანი თვითმფრინავს, ხოლო როცა მას მორჩენილი, შემდეგ შეუდგებოდა ოთხმოტორიანი ПБ-4-ზე მუშაობას. ჩვენ იგი ძალიან გვჭირდება”. შემდეგ ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ბერია: რამდენი აქვს სიჩქარე თქვენს თვითმფრინავს?

მე: ექვსასი კილომეტრი.

ბერია: ცოტაა, გვჭირდება შეიდახი მაინც. რამდენია ფრენის სიშორე?

მე: ორი ათასი კილომეტრი.

ბერია: არც ვგ ვარჯა. გვჭირდება მინიმუმ სამი ათასი კილომეტრი. რამდენი ტვირთის ტარება შეუძლია?

მე: სამი ტონის.

ბერია: ცოტაა. გვჭირდება ოთხი ტონა მაინც. დავამთავრეთ! (მიმართავს დავილოვს): უბრძანეთ სამხედროებს, რომ შეადგინონ მოთხოვნები ორმოტორიანი მოპიკირე ბომბდამშენზე. გაითვალისწინეთ ტუპოლევის მიერ მოწოდებული პარამეტრები, ჩემი შენიშვნებით”.

ეს არ გახლდათ “მცირე განათლების” მქონე სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის კაპრიზი, როგორც ეს ტუპოლევის სურს წარმოვიდგინოს თავის შემუშავებულში.

ომისწინა პერიოდში საბჭოთა ავიაციის მანქანების 75-80 პროცენტი აშკარად ჩამორჩებოდა ამავე ტიპის გერმანულ მანქანებს. სამხედრო-საჰაერო ძალების რეორგანიზაცია ასევე მოითხოვდა მფრინავ-ტექნიკოსთა პირადი შემადგენლობის გადამზადებას.

ახალ გერმანულ გამანადგურებელ “მესსერშიმდლს” (ME-109E) და ბომბდამშენ “იუნკერსს” (JU-88) ბევრად უპირატესი მდგომარეობა გააჩნდათ, ვიდრე საბჭოთა გამანადგურებელ И-15-ს და ბომბდამშენ СБ-ს.

ამას დასტურებს სახელგანთქმული საბჭოთა სპეციალისტი ა.ს. იაკოვლევი, რომელმაც დიდი სამამულო ომის წლებში ვეებერთელა წვლილი შეიტანა საბჭოთა ავიაციის აღმშენებლობის საქმეში.

თარგმანი როლანდ ჯალალანიასი, (გაგრძელება იქნება)

სოროსის სია



საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ბევრი დასავლეთისგან გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია (ანონ), რომელთა დიდი ნაწილი ანტიკორუფციული ბრძოლა, ანტიკორუფციული განწყობითა და მოქმედებებით გამოირჩევა.

მათი გავლენა ისე დიდია პოლიტიკაზე, რომ, შეიძლება ითქვას, ხელისუფლება სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ამ ანონების, უფრო ზუსტად, მათი პატრონების (დამფინანსებლების) ინტერესების გათვალისწინებით იღებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მილიარდერ ჯორჯ სოროსის ფულით შექმნილი **“ღია საზოგადოება”**, რომლის მანერული საქმიანობის შესახებ დოკუმენტები DCLeans-ის პაქეტშია მოპოვებული და გამოაქვეყნეს. სწორედ ამ დოკუმენტებს ეძღვნება ინტერნეტგამოცემა VZ.RU-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალა სათაურით **“ჯორჯ სოროსის ‘შეხვეტი კოლონას’ თავისი სახელი უწოდეს”**.

“სკანდალებით განთქმული მილიარდერის ძველი მტრის, უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანიის ძალისხმევით, როგორც იქნა, გამოიზიარდა ე.წ. სოროსის სია. ამ სიაში არიან ევროპარლამენტის დეპუტატები, რომლებიც სოროსის პროექტებს ღობობენ და მისი მითითებით ცვლიან ევროკავშირის კანონმდებლობას. ამ დოკუმენტში განსაკუთრებული პუნქტია რუსეთისადმი დამოკიდებულება. სწორედ ამ დამოკიდებულებით განისაზღვრება, პირი სოროსის მეგობარია თუ მტერი.

ლაპარაკი იმაზე, რომ მილიარდერი ჯორჯ სოროსი აქტიურად ერევა მსოფლიოს პოლიტიკაში და ცდილობს ქვეყნების მართვას, კონსპიროლოგიად ითვლება, მაგრამ ახლა გამოჩნდა კონკრეტული მტკიცებულებები, რომ ფინანსისტი მართლაც ახდენს გავლენას ევროკავშირში მიღებულ გადაწყვეტილებებზე: DCLEAKS-ის პაქეტშია გამოაქვეყნეს სოროსის საყვარელი ნაშრომის – **“ღია საზოგადოების”** – მეთოდოლოგია.

ეს არის საკმაო მოცულობის დოკუმენტი, რომელშიც შეკრიბულია ინფორმაცია ევროპარლამენტის 226 წევრზე (1) – **“ღია საზოგადოების”** იდეურ მოკავშირეებზე. ისინი მოწოდებული არიან, მხარი დაუჭირონ სოროსის იდეებს – ევროპაში მიგრანტების დასახლებას, **“გენდერული თანასწორობის”** უზრუნველყოფას, ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინებას, უკრაინის დაახლოებას ევროკავშირთან და, რა თქმა უნდა, რუსეთთან დაპირისპირებას.

ევროპარლამენტში სულ 751 დეპუტატია, მათგან სოროსის მოკავშირეა 226, ანუ მე-სამედზე მეტი.

“ღია საზოგადოებაში” აქვთ დღისი ნაკლებად ცნობილი პარლამენტარებისა და ევროპული პოლიტიკის ისეთ მძიმეწონისებზეც, როგორც არის, მაგალითად, მარტინ შულცი (ცოტა ხნის წინათ ევროპარლამენტის თავმჯდომარე) ან კიდევ – ბელგიის პრემიერ-მინისტრი გი ვერპოფსტადტი.

ამ დოკუმენტს საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრო უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა. ის, ბოლო რამდენიმე წელია, ძალისხმევას არ იშურებს თანამემამულეთთან საბრძოლველად – სკანდალებით განთქმული მილიარდერი უნგრეთში დაიბადა. გენდერული თანასწორობისა და ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების მოთხოვნის პიკე ორბანმა უნგრეთის კონსტიტუციაში შეიტანა შესწორებები, რომელთა მიხედვით **“ქვეყანას აერთიანებს დემოკრატია და ქრისტიანობა”**, ხოლო **“ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი”**.

2017 წლის მარტიდან ორბანი ცდილობს, დახუროს ბუდაპეშტში სოროსის ფულით შექმნილი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, რომელმაც ევროკავშირის პოლი-

ტიკური ელიტის არაერთი თაობა აღზარდა, თუმცა ორი ცნობილი უნგრელის კამათის მთავარი პუნქტი არის მიგრანტები.

2015 წელს ორბანმა განკარგულება გაცა, სერბეთთან საზღვარზე აქმენებინათ კედელი, რომელიც ხელს შეუშლიდა ქვეყანაში ლტოლვილების შესვლას. სოროსი ორბანს თავს დაატყდა კრიტიკით, უწოდა მას დიქტატორი და წარმოადგინა თავისი გეგმა ევროკავშირში მიგრანტების მიღების ორგანიზების შესახებ. სოროსის გეგმის მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებმა თავიანთ ტერიტორიაზე ყოველწლიურად უნდა შეუშინონ მილიონამდე მიგრანტი, ამასთანავე, ზედა ზღვარი დაწესებული არ იყო. თითოეული მიგრანტი უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სპეციალური – წელიწადში 15 ათასი ევროთი, თანხები ქვეყნებში განაწილებდნენ დაწესებული კვანძების შესაბამისად.

დღეს სწორედ ამ გეგმაზე მსჯელობენ ბრიუსელში. ხოლო ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნები (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი), რომლებიც აქამდე წარმატებით უგულვებელყოფდნენ კვანძების შესახებ დებულებას, თავდაპირველად იბრძვიან სოროსის ჩანაფიქრის წინააღმდეგ.

ცოტა ხნის წინათ, ოქტომბრის ბოლოს, სამოქალაქო თავისუფლების, იურისპრუდენციისა და საშინაო საქმეების ევროპარლამენტის კომიტეტმა წინადადება წამოაყენა, ევროკავშირის კანონმდებლობაში ცვლილება შეეტანათ თავსაფრის მიცემის თაობაზე, რათა საბოლოოდ დადგენილიყო ეს უბადადებული კვანძები ქვეყნებისთვის. აღსანიშნავია, რომ მიგრანტების ნაკადის ლიმიტის ზედა ზღვარი არც ამჯერად არ არის მითითებული. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა უნგრეთის ხელმძღვანელობა, თვალთ აეხილა ევროპისთვის, რატომ იღებს ევროპისთვის თითოეულ გადაწყვეტილებას ევროპარლამენტი. ოფიციალური ბუდაპეშტი, ფაქტობრივად, პიარმენჯერად იქცა DCLeak-ის პაქეტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტისა სახითათო სათაურით **“ჩვენი სამეფო მოკავშირეები ევროპარლამენტში (2014-2019)”**.

“ეს დოკუმენტი მხოლოდ უნგრეთს რომ ემუქრებოდა, პრობლემა არ იქნებოდა. უნგრეთის მთავრობა მიეჩნევა კაპარწყლებას ცრუ ბრალდებების წინააღმდეგ, რომელსაც თავს ატყვენ **“ღია საზოგადოების”** იდეოლოგები, – განაცხადა უნგრეთის სახელმწიფო მდივანმაზოლტან კოვანამ, – მაგრამ დღეს საქმე ეხება არა მხოლოდ უნგრეთს, ეს დოკუმენტი საფრთხეს უქმნის სრულიად ევროპის მომავალს”.

კოვანი ამტკიცებს, რომ დღეს ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლების კომიტეტში მუშაობს სოროსის, სულ ცოტა, “30 აშკარა მხარდამჭერი”. და შეთხვევითი არ არის, რომ მილიარდერი ხშირად ხდება ევროკავშირის თავმჯდომარე უან-კლოდ იუნკერს დახურულ კარს მიღმა და არაფერ იცის, რა საკითხებზე მსჯელობენ.

სოროსის მიერ **“დემოკრატიისთვის საბრძოლველად”** 18 მილიარდის დემონსტრაციულად შეწირვამ მისი **“ღია საზოგადოება”** მსოფლიოში ყველაზე მძლავრ არასამთავრობო ორგანიზაციად აქცია. სახელდობრ, რამ შეაშფოთა ოფიციალური ბუდაპეშტი ამარასამთავრობო ორგანიზაციის შიგნით მოხმარებისთვის განკუთვნილ მეთოდოლოგიაში?

ხეობსხეებულ 226 ევროდეპუტატის დღისიკვანძში მითითებულია, რომ მათ უკვე ითანამშრომლეს **“ღია საზოგადოებასთან”** და შეიძლება კვლავაც უხმონ სათანამშრომლოდ. დღისიკვანძში შედგენილია არა მხოლოდ ღია წყაროებიდან, არამედ **“საქართველოში მათი მოპოვებული ინფორმაციის შედეგად”**. დახასიათებების სტილი ძალიან ჰგავს **“პირად საქმეებს”** ტელესერიალ **“გაზაფხულის 17 გაუქმებულნი”**, ოღონდ ფორმულირებები **“კეშმარტი არიყლი”** და **“ნორდული ხასიათი”** შეცვლილი ტერმინებით – **“პროვეროპელი”**, **“აქტიური პროვეროპელი”** და **“მეტისმეტად პროვეროპელი”**.

“მეტისმეტად პროვეროპელია, ‘ღია საზოგადოების’ ფასულობების უპირობო დამცველი უყოყმანოდ გამოდის თავისი ფრაქციის თვალსაზრისის წინააღმდეგ”, – ასე ახასიათებენ მონიკა მაკოვეის, ევროპარლამენტის დეპუტატს რუმინეთიდან.

“პროვეროპელია, მაგრამ ძალიან გატაცებულია ტრანსპორტისა და ტურიზმის კომიტეტის ხელმძღვანელობით”, – ეს უკვე

მიქაელა კრემერის დახასიათებაა, გერმანელი **“მწვანეების”** წარმომადგენლის.

“ღია საზოგადოების” მოკავშირეთა უმრავლესობა იბრძვის მიგრანტების, უმცირესობებისა და ლგბტ-თა უფლებების დასაცავად, აგრეთვე, ერის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. გლობალისტური ქარგონიდან თუ ვთარგმნით, მხარს უჭერენ მესამე სამყაროს ქვეყნებიდან შეუზღუდავ მიგრაციას, ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონებასა და შობადობის შეზღუდვას.

ცალკე აღნიშნულია წვლილი მიგრაციის კანონში ცვლილებების შესატანად ბრძოლაში. ამ პუნქტის მიხედვით, პირველობას არავის უთმობენ სიღვია გიომი (ფრანგი სოციალ-დემოკრატი) და ჟანა ლამბერტი (ინგლისელი **“მწვანე”**). ეს ქალბატონები ლობობენ ევროკავშირის კანონმდებლობაში თავსაფრის მიცემის შესახებ ცვლილების შეტანას იმ სულისკვეთებით, როგორცაც ითხოვს სოროსი.

სოროსის მხარდამჭერ ევროპარლამენტარებს შორის არიან მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებიც, თუმცა მათი უმრავლესობა არის სოციალ-დემოკრატი, ეკოლოგი და **“მწვანე”**. ისინი, ძირითადად, სამეცნიერო და შემოქმედებით ინტელიგენციას წარმოადგენენ; ხშირად წერენ წიგნებს, რომლებშიც აკრიტიკებენ თანამედროვე კაპიტალიზმს, თუმცა ესწრულიად არ უშლით ხელს, ითანამშრომლონ ერთ-ერთ ოლიგოპოლს თანამედროვე კაპიტალიზტთან.

ამ **“დასტავში”** ჭარბობენ ევროკავშირის მილიონობის მომხრეები, თუმცა გვეხვდება **“ზომიერი ევროსკეპტიკოსების”** გვარებიც, რომლებიც ისეთ საკითხებში უნდა გამოიყენონ, როგორც არის **“უმცირესობების უფლებებისთვის ბრძოლა”** და **“მათრაცია”**.

აი, მაგალითად, როგორ ახასიათებენ იანა იგორის ასულ ტომას (ქალიშვილობის გვარი ჩერნოგოროვა), ტალინის ყოფილ ვიცე-მერსა და ესტონეთიდან პირველ რუსულენოვან ევროპარლამენტარს: **“უარი თქვა, მხარი დაუჭირა ევროპარლამენტის რეზოლუციისთვის უკრაინისა და რუსეთის კონფლიქტის შესახებ 2014 წლის ივლისში. შეიძლება იყოს პრირუსი გაურკვეველი დოზით (ასეთ შემთხვევაში მისი თანამშრომლობა ‘ღია საზოგადოებასთან’ საეჭვოა”**.

“ღია საზოგადოების” სიის რამდენიმე წარმომადგენელი, დიდი ხანია, ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის. მაგალითად, რეკა პარმის გერმანელი **“მწვანეებიდან”** რეკულარულად გამოდის ევროპარლამენტში და ითხოვს სანქციების დაწესებას რუსეთისთვის. ბელგიელი გი ვერპოფსტადტი მრისხანე სტატუსს აქვეყნებს მსგავსი სათაურით: **“პუტინის მიუთითოთ თავისი ადგილი”**, რომელშიც რუსეთის ხელისუფლება დადანაშაულებულია თანამედროვე ევროპისთვის თითქმის ყველა პრობლემის შექმნაში.

“სოროსის სია”, ბოლოსდაბოლოს, პასუხს სცემს კითხვას, რომელიც რეგულარულად წამოტივტივდება ხოლმე ევროკავშირის პოლიტიკაზე კამათისას – რა აიძულებს ევროპული ქვეყნების ხელისუფლებებს, ითამაშონ საკუთარი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ? პასუხი კორუფციაში ნაფლულობა. სოროსის მიერ გამოკვეთილი პოლიტიკოსები მის პროექტებს ღობობენ, ხოლო ქვეყნების ხელისუფლებების მხრიდან ამასთან დაპირისპირების ნებისმიერ მცდელობას ამ ქვეყნების ელიტები ეწინააღმდეგებიან.

აი რატომ მარცხდებიან ვიქტორ ორბანის მსგავსი ლიდერები სოროსის სტრუქტურებთან დაპირისპირებისას. **“ღია საზოგადოების”** გაუქმების აგენტურით გაძევილი ევროპარლამენტი მიზანმიმართულად მუშაობს ევროპაში მილიონობით მიგრანტის დასახლების შესახებ სოროსის მიერ შემუშავებული გეგმის განსახორციელებლად.

დასავლური დემოკრატიის ფასადის უკან კი იმალება სტრუქტურა, რომელიც ფეოდალიზმს მოგვაგონებს. მემარცხენე პოლიტიკოსები ერთგულუბას ეფიცებიან ყანად ბარონს და ემსახურებიან მის ინტერესებს, ევროპის მოსახლეობის ინტერესები კი ფეხებზე ჰკიდიათ.

ევროპის მოსახლეობა, მიუხედავად ფასულობებისა და უფლებებისა, ახლაც ისეთივე უფლებოა, როგორც იყო შეუსაუქუნებში”.

მომავლად ნიბა კორინთელმა

ჭოეზიის კუთხე

ფიროსმანი

ჩვენ ფიროსმანის ვეძებთ ნაკვალევს, ტვირთსავე ყოფის წარუშლელ კვალებს. დიდი სიწრფელის ფერწერულ ელვას, და ამალღებულ სულიერებას! ქმნიდა „აქტრისას“ და სხვა ლამაზებს თბილისის ლამაზი ხედვის სანახებს. ცხოველთ თვალებს უცხო ფერებით, და მონადიმეთ მუქი წვერებით. მინდა ეს ნიჭი ვაქოთ სიტყვებით უმურველობით დიდხანს ვიქნებით. საფლავსაც ვეძებთ და მის ნაკვალევს მხატვარ ნიკალას წარუშლელ კვალებს...

სონეტი 90

სი, მუ ბორჯის მიჯოგუნქდა მემოტე ამდლა, მუჯამს, მუჯო ვითონამუ დომიდით ქიანაქ. უმოსო ლექინო გინიბდა ხვალასაშ დამლას, დალია ჭვათ ვევი უგანეთ დალტ თლიანას. დო მუდგა ბორჯის ნარდის ქაათა მუჯოთ არამს, ვა მემეტეობა დო ოჭიშის ვემოგა ყამა. უკულ ჭვიმათ სი ნუ გაათანუა სერს ქარამს... ასევე მომალოდ პანჯათ ჩქიმ ოდაგალ ხვამა. დალია წუთიშოთ ვენოდგა ჩქინ გორთუალა, ნამდა, ვა მოგოჭიშუას ჭვიტე ნარდოშ დინორთაქ. ამდლაროშე მიბღეკო, ჩქიმ გრინჯ დარდით რთუალა. დო უსქანერა, თე დლაშე მუჩას აუხ ორთაქ!

მჭყორდუ ძალიერო, ჩქიმ კოდირ გურ სკან დინაფათ, დო თე არძა ნარდა გუმენქარბუ თუნაფათ!

შექსიბის სონეტი თარგმანა მაღზახ ბრიბოლიან

მანცხვარ კარ ვოხორანქ მა მანცხვარ კარს, ხორეონ რე ოშქაშურ. ხანდუ რინენს თაქ კათა. ართო გურ დო ართო შურ.

ეკლესია მანცხვარიშ – ასქვამანს თიშ თარ ნაწილს. ხვამა რდას არძა გვარიშ, უფალ მეჩანს მუშ-მუშ წილს.

ჭარჭულარაშ მეუჯინუთ, შეიდობა რდას თე ხორეონს. ბხარენქ მუჯამს ვიჯინექ, კოლხაშ თე აკან-რეონს. აკარეონ – ადგილ-მდებარეობა

მაღზახ ბრიბოლია, აბაშა

საყვარელო ჩემო ზანა!

ძეწინს ჩეროს შეხიზნულო, ხმაჩხრიალა დელის წყალო. მზეზე გამო, რომ მნათობმა, კრძალვით მუხლი მოიყაროს.

რომ მსოფლიოს სხვა მდინარეთ, ივრძინს შენი ამხევება რადგან ერთ-ერთს ბედად გერგო, ქართულ ნიჭის აღხევება.

მხატვრულ სიტყვის დიდოსტატო, შენ არ ზარდე ზრუნვით განა? კონსტანტინეს სიყრმის სწორო, საყვარელო ჩემო ზანა!

შენ დიდი ხარ სხეებზედაცა, რის პატარა, რა პატარა. შენმა მადლმა პროზის მახვში, ზეცის კიბეს აატარა.

იქუხე და იგუგუნე ნაპირებზე გადმოდინდი იამაყე შენს ტალღებში, რომ ბუმბუკარა მწერალს ზრდიდი.

ძეწინს ჩეროს შეხიზნული დელის წყალო ხმამეტყველო. კიდევ დიდხანს ირუნუნე, კონსტანტინეს სადღეგერძელოდ!

გივი კველიაი

მერაბ კოსტავას პოეზია

დმერთი არის კურთხეული და ერთადერთი ხელმწიფე, მეფეთა მეფე და უფალი (I ტომოთე, 6,16) (2,455).

ერთადერთი, რომელსაც უპყრია უკვლავება, მკვიდრობს მიუწვდომელ ნათელში, რომელიც თავის უხილავს ადამიანგან და არც ძალუძს მისი ხილვა (I ტომოთე, 6,16).

მარადისობა, მარადისობის მამა არის სადღოთი სახელი (ესაია წინასწარმეტყველი, 95,5) (1,45).

სიცოცხლისა და ცნობადის სახე ხარობს სამოთხეში და ქრისტეს ორბუნებოვნებაზე მიანიშნებს (აბაქაძე, სასულიერო პოეზიის სახეები, კრ. „პოეზია“, 1981)

ლექსში „გაზაფხული (1,113) ფიგურირებს „მიჯნურთ სამოთხის ხე“, როგორც სადღოთი სახელი.

მერაბ კოსტავას პოეზიაში მხილებულია დმერთის უარყოფელი ეპოქა. პოეტი მრავალგზის ამხელს რწმენისგან განშორებულთ, მხოლოდ ცოდნის მაძიებელთ, რომელთაც ზნეობა დაეწვებათ: „იდუმალეუბის დარწმუნებით წყარო ცოდვილთა, სიბრძნეს დაწმენდილს, ნათლის სვეტად აღვიქვამთ მუდამ, ამდაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნისკენ, ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადადგან უნდა“.

ხელახლა რა ტაძართა იავრქმნას, რელიგიური სიბრძნის უარყოფას, გულსიტყვილით კითხულობდა პოეტი: „ტაძართა სიბრძნე რად დაქინდა, რად დაექანა? ... რატომ მდუმარებს ღირსთა მამათა წმინდასა ვანე? ნუთუ დაგვეწო აღსავლის კარი და ერთიანად წაგვერთვა სმენა?“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,149).

მერაბ კოსტავა აფიქსირებდა ზეციური ვარსკვლავის (ქრისტეს) გაუჩინარებას, ზღვარში დამსხვრეული გემის (რწმენის) გამო უიმედობას: „ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი, რად არ აღენთო ზეცაში დღემდე? როდემდე ზღვაში დამსხვრეულ გემის უიმედობის აფრა გვემოსოს?“ (გალაკტიონი) (1, 151).

წმინდა მამა გემოდგურავს: „გქონდეს რწმენა და კეთილი სინდისი, რომელიც უარყვეს ზოგიერთებმა და დამსხვრა მათი რწმენის ხომადი“ (პავლე მოციქული, I ტომოთე 2,19) (2,449).

მერაბ კოსტავა გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსში ხაზი უსვამს პოეტების მეფის რელიგიურობას, სადღოთი სიბრძნისა და სადღოთი სიყვარულის პრიმატს მის შემოქმედებაში და ბუნებრივია, მრავალი ქრისტიანული სახელი აქვს დამოწმებული: მრავალძალი, მუდმივი ცეცხლი, გულთამხილავი თვალი, ირისე, ვარსკვლავი, უხილავი, მარადისობა, სიტყვა, შემოქმედი, დაუსაბამო სიმართლის სახელი.

მარიამის სახელებია ცეცხლოვანი, აზარფეში, ბარძიმი, გრაალი.

ამ სახელთა წყაროებია ბიბლია, სასულიერო პოეზია, ღვთისმეტყველთა წიგნები, „დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა“.

პრობლემაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ მერაბ კოსტავა ზედმიწევნით კარგად იცნობდა ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნებს, სადღოთი და საღვთისმშობლო სიმბოლიკას.

იგი სიღრმისეულად გაიაზრებდა ათეისტური ეპოქის სატყვერებს, ამრავალფეროვნებდა, ახალი ელფერით მოსავდა ჩვენი ზეციური დედისა და ძე დმერთის სახელებს. პოეტმა დიდი ძალისხმევა გამოიჩინა რწმენისკენ მეფისტოფელის ეპოქის ადამიანების მოქცევისთვის, გამორჩეულია მისი წვლილი ერთგული ტრიადის მსახურება-გადარჩენაში.

მერაბ კოსტავას პოეზიაში დმერთი არის სიტყვა, იდუმალი სიტყვა, სიტყვა დაუსაბამო, კარი, ელვა, სასოება, სიხარული, ნათელი, მზე, მზიანი დამე, შუალამის მზე, მზის სული, უკვდავების წყარო, წყარო ცხოვრების, იდუმალების წყარო, წყარო, მრადი მამა, მრადი ძე, იმედი, სიყვარული, ცეცხლი, მარადისობის ნერვი, უკვდავების ქნარი, ერთი, სამება, ვარსკვლავი, სიწმინდის თვალი, მაცხოვარი, რაბი, სასწაული, უსაზღვროება, უფსკრული სინათლისა, დაუშრეტელი მზერა, პური ცხოვრებისა, წყარო უკვდავებასა, სასუფეველი ცისა, ცვარ-მარგალიტი, ვარსკვლავების საუნჯე, წარუგადო საუნჯე, ედემის მშვენება, შუქთამთავი, მანანას მთავარი, უხეშთაეხი, სული ცხოველი, ცხოვრების სული, მეუფე, განმეგებელი, გა-

მოუთქმელი, ერთადერთი, ცისარტყელა, პირველი სხივი, სამყაროს არქიტექტორი, უნრდილო ნათელი, სული ცხოველი, ძე მადლის, ჭეშმარიტება, გულთამხილავი, ერთარსება, წარუგადო ძალი, მოძღვართ მოძღვარი, ნათლის სვეტი, მომავლის სვეტი, ვენახი, ირისე, კეთილი მწყემსი, ზეცის უშრეტე თვალი, სულის მახვილი, დაუსაბამო, მიუწვდომელი, უსახელო, პური არსობის, ძე, მადალი ცა, გზა, კარი, ახალი ცხოვრების კარი, ცვარი ცვარი, სიწმინდის კვართი, კაცობის მდინარე, გარეშეშუქრელის საესება, დიდი გამჩენი, მრავალძალი, მუდმივი ცეცხლი, მრადისობა, შემოქმედი, დაუსაბამო სიმართლის სახელი, ცეცხლის ყვავილი, გულთამხილავი, მიჯნურთ სამოთხის ხე.

პოეტის „ნუბუზის და“

ათეისტურ მეოცე საუკუნეში, „მეფისტოფელის საუკუნედ“ რომ მონათლა დიდმა გალაკტიონ ტაბიძემ, ხელისუფლებისგან ხელდასხმული კალმონხები ურწმუნოებით, ეაღბი, ამსოფლურ-წარმავალი ღირებულებების გაფეტიშებით, ქვეყნის ტირანი მესვეურების ხობით, სიმართლის გამრუდებით გამოორჩნენ. მაგრამ რწმენის, სიკეთის, ობიექტურობის დევნის პირობებშიც იყვნენ დინების წინააღმდეგ მავალი სიტყვის ოსტატები, რომელნიც ჭეშმარიტებას, მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, სულიერებას ემსახურებოდნენ და თავიანთ უპირველეს მისიას რწმენის ერთგულებაში, ერთგული იდეალებისთვის თავგანწირვავში ხელაფდნენ. ისინი ტაძრისკენ სავალ ზუას უწვევებდნენ ხალხს და შემოქმედებით ნიჭს სულიწმიდის მადლად მიიწვევდნენ.

წიგნთა წიგნის სიბრძნით, ღვთისმეტყველთა, იდეალისტ ფილოსოფოსთა, მორწმუნე კლასიკოსთა მრავალი იდეებით გაბრძობილი მერაბ კოსტავა უპირველესად რელიგიური, ერთგული სულიერი ფასეულობების მსახური იყო საქმითაც და სიტყვითაც.

პოეტი იზიარებდა მეხიანისტურ იდეას, რომლის მიხედვითაც, საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რაც უკეთურ ძალთა მძლავრობის პერიოდებში ოპტიმიზმის დიდი საფუძველი იყო. ჩვენი ზეციური დედისადმი სიტყვითა და საქმით თავგანისცემის მაგალითი იყო მერაბ კოსტავას ცხოვრება და შემოქმედება.

ცნობილია, ივერის ღვთისმშობლის ხატის საქართველოში ჩამობრძანებისას აეროპორტში მისულმა მერაბ კოსტავამ მუხლებზე დახოქებით გამოხატა ჩვენი სამშობლოს მფარველი ძე დმერთის დეიდადმი თავგანისცემა, ხოლო პოეზიაში მრავალი შედევრი უძღვნა.

მარიამ ღვთისმშობლის უკვდავყოფელი პოეტის ლექსში ტრადიციების შემოქმედებით გამოყენებით გამრავალფეროვნებულია საღვთისმშობლო სახისმეტყველება, მისი სახეები გააზრებულია ახლებურ კონტექსტში, ახლებური ნიუანსებით. ეს ლექსები თამამად დაუდგება გვერდით ქართულ მორწმუნე კლასიკოსთა შედევრებს.

მერაბ კოსტავა უგალობდა ქრისტეს, ამკობდა მას კანონიკური და ორიგინალური ეპითეტებით და, ბუნებრივია, იქვე გამოხატავდა მოწიფებას ძე დმერთის დეიდადმი. პოეტმა ასე მიმართავდა ადამიანთა სახსნელად ზეციდან მიწაზე მოვლინებულ იესოს: „...სერაფიმ-საგალობლო, უფსკრული სინათლისაო, მზერა დაუშრეტლო და პური ცხოვრებისაო, წყარო უკვდავებისა, სასუფეველო ცისაო, ცვარ-მარგალიტი, ვარსკვლავებისა საუნჯე, ნიავო წალკობისაო... ვარსკვლავებისა საუნჯე, მშვენივალ ედემისაო, ამ სოფლად მოვლინებულო შენ ბინადარო ცისაო“ (ბაღლო ლომისფარიანი) (1,71).

აქვე მარიამ ღვთისმშობელი ფიგურირებს სასულიერო მწერლობაში დამკვიდრებული სიმბოლური სახეებით: „ხელთუშტიცესო ბეჭედო, მადალი განზრახვისაო. უსათუთესო შეხება ანგელოსური ფრთისაო. დაუტკნობელი ყვავილი, კდემო ქალწულისაო, აღურაცხელი მადლო და სასუფეველო ცისაო“.

აქ მარიამის სახელებია: ხელთუშტიცესი ბეჭედი, ანგელოსური ფრთა, დაუტკნობელი ყვავილი, ქალწულის კდემა, აღურაცხელი მადლი, სასუფეველი ცისა.

ლექსის ავტორი ზედმიწევნით იცნობდა ამ სახეთა წყაროებს.

„ნეგმირებული ძლისპირნი“ მარიამ ღვთისმშობელს მოიხსენიებს, როგორც ზეცის ბეჭედს“ (2,821).

ქართველ პოეტთან ბეჭედს ახლავს მიგნებული ეპითეტი – „ხელთუშტიცესი“.

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამს ეწოდება „უხრწელი ყვავილი“.

„გისაროდენ, ყვავილო უხრწელებისაო“ (3,11).

ესაიას წინასწარმეტყველებაში მარიამი არის „ქალწული“, რომელიც მუცლადიდებს“ ძეს: „აჰა მუცლადიდებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს „სახელად იმანიელს (ჩვენთან არს დმერთი)“ (ესაია წინასწარმეტყველი).

ასევე, დაუჯდომელში“ მარიამი არის „ზღუდე ქალწულთა“, ძეგლი ქალწულეებისაი“, „ქალწულებისა და შობის შემაუღლებელი“ (3,12).

„სინურ მრავალთავეში“ მარიამი წარმოიდგინება, როგორც ცა, საცნაური ცა, ზეცის საყდარი“ (5,201), „ნეგმირებულ ძლისპირში“ „სულიერი ცა“ (2,37) „უძველეს იადგარში“. – ცათა ცა, ღვთის ცა, საცნაური ცა“.

„დაუჯდომელში“ მარიამი მოიხსენება, როგორც „ანგელოსთა ცხოვრებისა გამომანინებელი“ (2,11).

ზეციური დედისადმი მიძღვნილ მერაბ კოსტავას ციკლში განსაკუთრებით გამოირჩეულია ლექსი „ღვთისმშობლისადმი“ (1,34-35). მასში იესოს მშობელი წარმოიდგინება, როგორც ადამის მოდგმის მხსნელი, სოფლის მუხანათობით გულდაკოდილთა ნუგეში, „ძველი მიწის“ და „ძველი ზეცის“ განმახლებელი, მალად მაზანთა შთაბარებელი, ცისკენ ხიდის გამდები, ცოდვათაგან მკურნალი, ძე დმერთთან შემადგომელი, უკვდავი სიტყვის მშობელი, სიწმინდე შეუგადო, ღმრთის სძალი, დედოფალი: „... თუ მიხსნის შენი წყალობა და შენი წილხვედრობობა. შენგან, შენგან განიდიდა და განახლდა მიწა ძველი, შენ დაბადე სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი. ანგელოზთ დასმა გადიდა უკვდავი სიტყვის მშობელი... სინანული განმახლდე, სიწმინდე შეუგადო, ტაძრად ღვთისად მიმახლდე, ღმრთისა სძალი დედოფალო... შენგან, შენგან განიდიდა და განახლდა მიწა ძველი, მკვდრებით ადგა სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი“.

მივმართოთ ლექსის წყაროებს.

„დაუჯდომელში“ მარიამი მოიხსენება, როგორც „წმიდისა წმიდათა უადრესი“ (3,12), „სძალი უსდლო (3,9), „სულთა წმიდათა სძალი შესამოსელი“.

ეს სახე (სძალი) მომდინარეობს ქებათა ქებით: „ბადი ხარ დასშული, სძალი, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (ქებათა ქება სოლომონისა, 4,12) (6,16).

ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში მარიამს ეწოდება დედოფალი, ზეცის დედოფალი, ოფირის ოქროთი შემკული დედოფალი.

ფსალმუნში ვკითხულობთ: „ტახტი შენი, დმერთო, უკუნითი უკუნისამდეა, სიმართლის კვერთხი კვერთხი შენი მეუფებისა... შენ მარჯვნივ დადგა დედოფალი ოფირის ოქროთი შემკული დედოფალი“ (ფს.44,7,10) (7,569).

ფსალმუნის ეს ფრაზა ასე განიმარტება ღვთისმეტყველებაში:

„ვინ არის ის დედოფალი, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი და რომელიც მესიის გვერდით დაუყენებიათ? რა თქმა უნდა, იმ ძის, იმ მესიის დედა, სხვა ვინ უნდა იყოს მესიის გვერდით მჯდომარე ქალი?“ (8,152).

„უძველეს იადგარში“ მარიამი მოიხსენება, როგორც „დიდებული დედა, დედოფალი, ყოვლადწმინდა დედოფალი, წმინდა დედოფალი“ (6,439)...

ნიკოლოზ გულაბერიძის „გალობანი სუტისა ცხოველისანი“ მარიამს წარმოვიდგენს, როგორც „წმინდა დედოფალს, დავით აღმაშენებელი – „ქალწულ დედას, დედოფალს“ (გალობანი სინანულისანი) (9,164).

განსახილველ ლექსში მერაბ კოსტავა მიმართავს უფლის დედას: „დაუსაბამო ნათლის ცისკარო, სწრაფშესმენითა მადლის მეგებლო, შენდა გადადებ ყოველ ცისმარე, უბიწო, შეუგინებელი“.

ამ სახეებს მრავალი წყარო აქვს. დავიმოწმებთ ზოგიერთს: „დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამი არის „ცისკარი, განმანათლებელი გონებისა (3,12).

ლექსს ამშვენებს მარიამის ბრწყინავლე კანონიკური სიმბოლოები: „შენ თვალსულიწმინდისა, ადამის მოდგმის გაისო, ცისკენ გამდებო ხიდისა, სერაბინთ უხეშთაესო... ნუგეშად გამოგვიჩნდი რომელი, გვექმენი შუამდგომელი“.

„ახალ აღთქმაში“ დმერთი მართალთა ნუგეშისმცემელია“ (1კორინთელთა 7,6).

ქრისტე არის „ნუგეშის დმერთი“, მამადმერთი, ძე დმერთი და მარიამ ღვთისმშობელი ხალხთა მრადიული ნუგეშისმცემელი არიან. დმერთი ნუგეშისმცემელია ესაიას წინასწარმეტყველებაში. (ესაია, 5,12)

„დაუჯდომელში“ მარიამი წარმოიდგინება როგორც დაცემული „ადამის აღდგომა“, ცრემლთა ევასთა ხსნა“ (3,9).

მარიამის მეტაფორაა ხიდი: „ხიდი წიადმეკანებელი ქუეყანისათა ცად მიმართ“ (3,9).

მ. კოსტავას „სულიწმინდის თვალის“ შთაბარებელი შეიძლება ყოფილიყო წინარე ტრადიციები. მივმართავთ ზოგიერთს:

„ძლისპირნი“ მარიამს წარმოადგენს, როგორც „ქალწულთა თვალს“ (2,132), „მზის თვალის უბრწყინავლესს“ (2,20). „ყოვლად ბრწყინავლე მზისთვალს“ (2,281). „ცხოვრების თვალის მშობელს“ (2,535). „ცხოვრების თვალი“ ქრისტეს სახელია.

მარიამი „დაუჯდომელში“ სახელდებულია, როგორც „ანგელოსთა ცხოვრების გამოსანინებელი“ (3,11), „ძლისპირნი“ – „ანგელოსთა შემოქმედის დედა“ (2,341), „ქერაბინთა“ უმადლესი (2,7).

საყურადღებო ლექსია „თეთრი ქალწული“ (1,42-46), რომელშიც მარიამ ღვთისმშობლის მხატვრული სახეებია: „დრუბელთა კოშკის ასული“, „თვალის პატოსხნების“, „ნუგეშის სვეტი“, „ქალწული ფიჭვი“.

სასულიერო ღვთისმეტყველებაში მარიამი წარმოიდგინება, როგორც „ასული დავითის“, „ასული სიონეველი“.

„ქალწული“ მარიამის კანონიკური სახელია ისევე, როგორც თოვლის მადონა გალაკტიონის ლექსში „ხომალდს მიძევება თოვლის მადონა“. (1,56-57).

ლექსში „შეხვედრა“ ქრისტე მოიხსენება როგორც „რაბი“. მარიამის მეტაფორად კი გვევლინება „საწმინდა“.

მერაბ კოსტავას „დიდგორში“ საწმინდის ენაცვლება ბარძიმი: „ზეცას დაუბრუნდა სერფომ – ბარძიმი“. ამ შემთხვევაში ლექსის ავტორი ემყარება წინარე ტრადიციას. „ძლისპირნი“ მიხედვით, მარიამი არის „გედლონის საწმინდა“ (2,839), საღმრთო საწმინდა (2,597).

ბარძიმი იგივე საწმინდა, იგივე გრაალი, რომლის მნიშვნელობას ასე განმარტავს ზვიად გამსახურდია: „გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლის, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამჭვალული ადამიანი“ (11,38).

ლექსში „ძალუმი, ვით იკოვო“ (1,73) გვხვდება როგორც საღმრთო, ისე საღვთისმშობლო სახელები: მთა, ია, ნუგეშის და, საყდარი, მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია. ცეცხლის ყვავილი, ელვა, კარი ძე დმერთისა.

პოეტის ვედრება ერთდროულად მიემართება, როგორც ძე დმერთს, ისე მის ზეციურ დედას: „...მოთიდან, რომ მოგაწვდი ყვავილს, იცოდე ცეცხლისა არის, ვითარცა დედეფისა გუნდა. ხელები დაგთუთქოს უნდა, შემცნობის ქველის და ავის „ელვათა კვეთებად მოვალ, იათა ცრემლიან გულად. ანმეხვენ, ნუგეშის დაო, შთამასვი ცხოვრების ზმულა, შემოსხე სიმშვიდის ბაო... უსაყდროდ გამრეყავს ყოფა, შენ თუ არ გამოდებ კარებს... ლოცვად და ვედრებად მოვალ, ლოცვად და ვედრებად მოვალ“.

მთა არის მარიამ ღვთისმშობლის სახელი და მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან: „ახედვედე, ვიდრე არა გამოეკუთა ლოდი მთისაგან თვინიერ ხელთასა“ (დანეელი, 2,34,38) (4,247).

„მთა“ განიმარტება მარიამის, ხოლო „ლოდი“ ძე დმერთის სიმბოლოდ.

ლუარა სორდია (გაგრძელება იქნება)

კულტურას განათლება აპირებს

დიდი პიროვნება რომ სცნო, თვითონაც რაღაცას უნდა წარმოადგენდეს. ციციშვილი

„განათლება სისტემური ცოდნის, უნარ-ჩვევების შეხედულება, რწმენის, შემეცნებითი ძალების და პრაქტიკული მომზადების დონის ერთობლიობაა“ – ვეცნობთ რა ლიტერატურაში, ადამიანი, და ერთობლივად საზოგადოებაც, პასუხისმგებლობას მნიშვნელოვნად ამაღლებს. საზოგადოების მტკიცე კავშირებითობის პირობებში საერთო წარმატების მისაღწევად გონიერმა ლიდერმა საჭიერო მიზნის აღსრულებისთვის შეიძლება ადამიანი გამოიყენოს არა მისი დამცირებით და შეურაცხყოფით, არამედ განათლების და ზნეობრივი ამაღლებით, მითუმეტეს გამოვლენილი მტკიცე ნებისყოფა შესაბამის ფონზე არის კაცის ადამიანურობის ბარომეტრი, კაცის ინტელექტი და გონიერება კი იგივერი მცნებებია – თანამდევ პერსპექტივით.

კაცობრიობის განვითარებას ბოლო ათწლეულებს პლანეტაზე განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ, რამდენადაც სტიქიურმა თუ გონიერმა განვითარებამ გლობალიზაციის მასშტაბურობა გაზარდა. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მამა ზეციერმა მოსეს დაუტოვა „ათი მცნება“, რაც მისაღებ შედეგადად უნდა ხალხში სათანადოდ ვერ ვლინდებოდა. ჩვენს პლანეტაზე (შესაძლოა სხვა გალაქტიკებშიც), სიცოცხლის უნარიანობის განვითარების გარკვეულ პერიოდში ადამიანის შესატყვისი ფიზიკური და გონიერების განვითარების შესაბამისად, მამაზეციერის ძე, ძე ღვთისა იესო, ხალხის ყოველდღიურ ყოფაში ამკვიდრებს ქრისტიანულ რელიგიას და რწმენის, ძალისა და ნების გამოხატულება მოეწინააღმდეგება კაცობრიობის მრავალი მაგალითით, მ. შ. იერუსალიმში, იესო ქრისტეს აღდგომა აღსანიშნავად, ტაძრის საკურთხეველში მართლმადიდებელი პატრიარქის სანთლებზე გადმოდის ცეცხლის ალი; წყაღურთხევის დღეს არამც თუ ეკლესიაში შეიძლება წყლის კურთხევა, არამედ პლანეტაზე დღის მანძილზე მოედინება წმინდა ნაკურთხი წყალი, თვით იესოც ხომ მდინარე იორდანეში ეკურთხა. თაბორის მთაზე ფერისცვალების დღეს მსოფლიო მართლმადიდებელი პატრიარქის ლოცვის დროს გარკვეული დროით ჩნდება ღრუბლები და მოდის წვიმა, II სექტემბერს აღინიშნება იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე, როდესაც ასპინძაში ტაძართან მლოცველები ფეხით გადადიან მდინარეზე, იმ დღეს როგორც წესი მდინარე იკლებს და ქმნის ფონს, ეკლესიაში (მაგ. მეტეხში მამა აკაკის „კვეთებისას“) რწმენის საფუძველზე შეიძლება ადამიანი განიკურნოს და ა.შ. და ა.შ. ვითომ ეს ყველაფერი სასწაულია? იქნებ სასწაულია ნოსტრადამუსის, მესინგის, ვანგას იმ იშვიათი აზრობრივი კავშირისა რომელიც სიცოცხლე დაბადა, იქნებ ის არის სასწაული როდესაც საბჭოთა კოსმოსური ცენტრი „ელაპარაკებოდა“ კოსმოსში მყოფ კოსმონავტს მსოფლიო აზრის ურთიერთ გაცვლით და კავშირით.

ამერიკელი მეტაფიზიკოსი გრინი აღნიშნავდა, რომ ქართველებს ახასიათებთ „ზღვრულა ზეადამიანურობისაკენ“ და მართალიც არის. სავარაუდოდ ჯერ კიდევ ოთხნახევარი-ხუთი მილიარდი წლის უკან ზებუნებრივი ენერჯის ერთ წერტილში აკუმულირებით, მისი აფეთქებით, გალაქტიკების და პლანეტების შექმნით, სიცოცხლის და სულიერების ჩასახვაც მიკვიდრდება, რომელთა თანხვევა განვითარებაც მიმდინარეობს. ჩვენს რეგიონში სიცოცხლის ჩასახვაც რომ არაფრით ავლნიშნოთ, ყურადღება მივაქციოთ როგორც ადრე არსებულ კავკასიის და წინააზიის ვრცელ ოკეანის წყლისქვეშეთს, ისე მოგვიანებით ორ ზღვას შორის განფენილ კავკასიას, მის არქეოლოგიურ შესწავლას, „ზეზვას და მზიას“ ცხოვრებისეულ პირობებს. აქ გამორჩეული იყო დიდი წარსულის მქონე, ძლიერი გენის მატარებელი მონათესავე ტომებით დასახლებული

ხალხი, რომელმაც ქართველების სახით მსოფლიოს სტრუქტურული მნიშვნელობის გარემოში ყველაზე ხანდაზმული ერი ამყოფა, ინდივიდის სახედ მამაზეციერის და მართლმადიდებლობის ნებით, როგორც ვთქვით, ზეადამიანურობისაკენ იღვწის. მიუხედავად ამისა განათლებისა და უნარ-ჩვევების უპირველესი საზრუნავი იქნება ერის ისტორიული წარსულის გაანალიზება, ქრისტიანობის აღზევება, მისკენ სწრაფვა და ცხოვრებისეული მანიკერების არსებობის იგნორირება. ქრისტიანობა და განსაკუთრებით მართლმადიდებლობა, ყოველთვის იმარჯვებს მოწინააღმდეგე ეშმაკულ ძალებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (სსრკ-ს გამარჯვება ფაშისზე, იაპონიაში ლოცვების საფუძველზე აშშ-ს შეიარაღებული ძალების პერ-პარტორზე განადგურება და ა.შ.) მაგრამ ამერიკის მიერ სსრკ-ს დაშლის შემდეგ როგორც საბჭოეთის ისე საქართველოს ისტორიული მაგალითიდან გამომდინარე დღესაც ქართველი ერი აღკვეთს მტრულ ძალებს მიწისაგან პირისა, რამდენადაც არამც თუ ერის, არამედ ქრისტიანობის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ძალებია. გარკვეული პროცესების გათვალისწინებით ეს ხალხი არაფერზე იხევენ უკან, ყველაფერს აკეთებენ მართლმადიდებელი რელიგიის, ქრისტიანობის დასასუსტებლად, რათა ზნეობამ და კულტურამ განვითარება შეწყვიტოს, მაგრამ ჩვენი ზნეობრივი ადამიანი არა სხვის დამცირებას, არამედ თავის თავის ამაღლებას ცდილობს.

უცხო ტომების მიერ შექმნილმა მეხუთე კოლონიის და გულუბრყველო, უგუნური ადამიანების მეშვეობით, რომ არაფერი ვთქვათ აგენტურის ფართო ქსელზე, მეგობრის ადგილზე მდგომი დიდი რუსეთი ლამის მტრად მოვიკიდეთ, მათი კეთილი ნება კი იგნორირებულია. იქნება შთაბეჭდილება, რომ ისტორიული ურთიერთობის საფუძველზე და გათვალისწინებით რუსეთს სურს დიალოგი მეზობელ საქართველოსთან, ხელისუფლება კი ზევით ნახსენები ძალების მეშვეობით ოკუპანტად და მტრად წარმოაჩენს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ გვახსენდება 1801 წ. ფაქტობრივად საქართველო რომ გადაარჩა. სხვა უბედურება რომ არ გავიხსენოთ, რუსეთ-თურქეთის ომები გაიმართა 1821 წ., 1853 წ. და 1878 წლებში, ბევრი ჩვენგანი კი ვერ ხედავს შედეგს, რუსეთის მიმართ მხოლოდ მტრობას და უმადურობას ამჟღავნებს დღესაც.

ქართველის გენებით არის გამოჩენილი ადამიანი მ.შ. კორსიკელი, საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი, პეტრე დიდი, ფარნავაზი, დავით აღმაშენებელი, ვიორგი ბრწყინვალე, ვიორგი სააკაძე, ერეკლე, ილია, სტალინი... რომლებსაც მსოფლიო მნიშვნელობის ნაღვავი დაუტოვებიათ, ხოლო ორმა წინამძღოლმა, სტალინმა და სააკაძემ შეიძლება გავირეს ერისა და ქვეყნის გადასარჩენად, ვგონებ მსგავსი მაგალითი მეორე არ არის. გასული საუკუნის პირველ ნახევარში სტალინმა შესძლო შეექმნა ქრისტიანული რწმენის მატარებელი დიდი საბჭოეთი, მას შემდეგ რაც ქვეყანაში აღკვეთა მასონიზმი, მოგვიანებით გაანადგურა მთელ მსოფლიოში ფაშისმი, მაგრამ დრომ თავისი მოიტანა. ამერიკა თავისი მასონიზმ-სატანისტების თანხლებით უგულვებელყოფს ყოველგვარ ქრისტიანულს, დიპლომატიისა და ძალის მეშვეობით ცდილობს მთელი მსოფლიო გააბას თავის ქსელში, აღრმავებს სამყაროს ტრადიციულ წეს-ჩვეულებას და წარმოაჩენს როგორც ჯოჯოხეთს, მაგრამ სამყაროს ადამიანი ტოვებს რა ეთერულ მდგომარეობას, ქრისტეს თანხლები წმინდანების მეშვეობით მეორედ მოსვლა არ უნდათ გამოერდეს. დემონის ნებით ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ მუშტად შეკრული მართლმადიდებლობა კვლავ გაართიანებს ევრაზიას და სხვა კონფესიის მეზობლებთან ერთად განამტკიცებს თავის სტრატეგიულ მდგომარეობას თუ მის მნიშვნელობას, რათა თავიდან აიცილოს მესამე ომი რაც უახლოეს ათეულ წლებში

არ არის გამორიცხული. უახლოეს წლებში ქართველმა ხალხმა დროა თავისი დემოგრაფიულ მდგომარეობაზე იზრუნოს და პირველ რიგში უზრუნველყოს ეკონომიკური, სამხედრო და უსაფრთხოების სამსახურის სათანადო დონეზე ამაღლება.

ორასი წელია, რას ერიკლეს კალ-ისხევიით რუსეთს დაუკავშირეთ ბაღი, მოსახლეობა დამოუკიდებლობაზე აქვსანი ათასიდან 5,5 მლნ-მდე მივიდა, მაგრამ ქვეყანაში დღეს არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო მასიურად ტოვებს სახმობს სახმობს ღონისძიებას, მაშინ როცა მი-ტოვებულ მინა-წყალს უხსოვრებელი ითვიანება, მ.შ. ათი ათასობით სტუდენტი ჩამოდის, ხშირად მოქალაქეობის მიღებას უარყოფითი საჩივრებით, არაბი, ინდოელი, თურქი და ა.შ. მრავალი ერის ხალხი. რაბიონის, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის კავშირით, რომელიც უნდა აღინიშნოს, აიკრძალოს გარეგანი-დაბინძურებულ პომოსესუალთა წარმოქმნა ტელეეოერში და მათვე ვურჩიოთ, გაეცნონ პრესას რათა მშობლიურ ენაზე უშეცდომოდ ისაუბრონ, მითუმეტეს რომ ეს უნდა იყოს ადრეც მიეცეთ საზოგადოებას („ილორო“ 22-29 დეკემბერი 2016 წ.) მაგრამ შედეგი არ არის.

იგნორირებას უწევს ყოველგვარ ქართულს, ახშობს საშუალო და მცირე ბიზნესს, ცდილობენ არ განავითარონ სოფლის მეურნეობა, შემოხილონ საზღვრებს გარედან გენმოდიფიცირებული თუ მოწამლული პროდუქტი, შემოიტანონ სარეალიზაციოდ ფრიად მაღალი ფასით, ან ფალსიფიცირებული მედიკამენტები როგორც საზღვარგარეთიდან, ისე ადგილობრივი წარმოებიდან. ხალხის მატერიალური მდგომარეობა იმდენად დასცეს, რომ ქართველებს აქ აღარ დაელომებათ. ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ხელისუფლების ნებისმიერ სტრუქტურაში ძირითადად თავმოყრილია მოსამსახურე პერსონალი, რომელიც არა ქვეყნის და ერის, არამედ მხოლოდ პირადი ინტერესით წარმართავს ცხოვრებას. ბევრს თუ შესწევს უნარი ან სურვილი, თავის შეილება ასწავლონ საზღვარგარეთ და დაასახლონ კიდევ, გაგონებაც არ უნდათ ერის და ქვეყნის შეილება სიტყვა სამშობლო შთაგონონ, მამულიშვილობა ასწავლონ და მათი სიყვარული ჩაუნერგონ. უსიყვარულობა და უპატივცემლობა ჩვენს ურთიერთობაშიც გამოსჭვივს, მ. შ. ძირითადად იმ ათეულ თუ ასეულ დახარალებულთა მხრიდან, რომლებიც სიმცირის გამო შედეგს ვერ აღწევენ, (განსაკუთრებით მათ მიმართ, მგლები ქონებას სისტემურად რომ უნდადგურებთ და მათი დახოცვა აკრძალული აქვთ), მაგრამ საპროტესტო გამოსვლების დროს მხარში ამოღებით სხვა შედეგებს უნდა ელოდონ. იყო სხვა მიზეზიც რომელიც ადრეც აღვნიშნე, („საქტრესპუბლიკა“. 6/9-2016 წ. „წინ აზროვნების სათავეებისაკენ“), ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მეტიაურის პარტიაში წარმოდგენილ მაქორიტართა პირველ ხუთეულს, რომელსაც საზოგადოება იცნობდა როგორც ქართველ ღირსეულ მამულიშვილებს, ცისქვეშეთში მყოფი ქართველების განსხვავებული აზრების ერთობა ამაღლებულ წერტილში მისინს გამოკვეთა ვერ მოხდა, ხოლო მათმა დაშლამ მნიშვნელოვნად დაასუსტა ერთობა. შეიძლება სხვა მაგალითების მოტანაც, მაგრამ დემონის ნება გარდუვალია. ის კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს, აიკრძალოს გარეგანი-დაბინძურებულ პომოსესუალთა წარმოქმნა ტელეეოერში და მათვე ვურჩიოთ, გაეცნონ პრესას რათა მშობლიურ ენაზე უშეცდომოდ ისაუბრონ, მითუმეტეს რომ ეს უნდა იყოს ადრეც მიეცეთ საზოგადოებას („ილორო“ 22-29 დეკემბერი 2016 წ.) მაგრამ შედეგი არ არის.

აუცილებელი იქნება ყველა ქართველის მტკიცე მხარდაჭერა და ურთიერთსიყვარული. ტრადიციულზე აღზრდილ მამულიშვილებს ბრწყინვალედ ესმით როგორ მოვიდა დღემდე საქართველო და დღესაც მის გაგრძელებას ვლის, „პარტი სარდალია ის, ვინც კარგად იყენებს ბრძოლის ველზე შექმნილ ხელსაყრელ სიტუაციას. დიდი სარდალი კი თვითონ ქმნის ასეთ სიტუაციას“.

ა. ციხისთავი

P.S. მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებულია. საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები საპირველმისოდ დღესასწაულზე გაგვიყვანეს. სადღესასწაულო დღის პირველივე საათებში ჯერ საქართველოს პატარა დროშა შევიდინე, შემდეგ თანაკლასელ მეგობართან ერთად მცირედი ტკბილეული გვახელით, კარგა ხანს ვისეირნეთ და მამას ვეწვიო რომელიც უკვე თანამშრომლებთან ერთად იყო სამსახურის ეზოში გამოსული. მისგლისთანავე მივესალმე დამხვდურ მოსიყვარულე ადამიანებს და მამა ამბობს: ნახეთ, ჩემს ბიჭს უწინარესად საქართველოს დროშა უყვია, ასე აღნიშნავს სამშობლოს სიყვარულს, – შემდეგ ცოტა ხანს დაგვიყვანით და კვლავ ქალაქში გავედით. ეს დღე იყო პირველი და უკანასკნელი რომელმაც შემაყვარა სამშობლო და დღესაც ამ გრძნობით ვცხოვრობ. ამ გრძნობას ამოძრავებს ჩვენი სამშობლოს დიდი ნაწილი.

ა. ც.

ხელისუფლებაში მოსული დიდი უმრავლესობა პირადი გამოჩენის მიზნით

საჭიროა გაბი პასუხისმგებლობა

ბევრი მტკიცება არ ჭირდება იმას, რომ ადამიანი როცა ამა თუ იმ თანამდებობას იკავებს, არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ის პატარა თუ დიდი, პირველ რიგში ვალდებულია მთელი არსებით, მთელი მონდობით, ძალღონის დაუხორგავად შეუდგეს მუშაობას, პატიოსნებითა და წესიერებით მიიქციოს თანამშრომელთა, საზოგადოების ყურადღება და, რაც მთავარია, დიდი პასუხისმგებლობის გრძობით განიმსჭვალოს დაკისრებული მოვალეობისადმი. სწორედ ასეთ შემთხვევაში მოიხვეჭს ადამიანი საზოგადოების ნდობასა და სიყვარულს.

სამწუხაროთ თუ საუბედუროდ დღევანდელ პრაქტიკულ ცხოვრებაში ასეთი ადამიანები ნაკლებად მოიძებნებიან და თუ მოიძებნებიან მის წინააღმდეგ უსინდისო, ავი ადამიანები შურით აღივსებიან და მოგონილი ბოძალებებით კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებენ.

სწორედ ასეთ შემთხვევაში არ უნდა შეშინდეს ადამიანი, სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდეს მაინც მტკიცედ უნდა დაიცავს თავისი პრინციპები და სამართლიანობა. ასეთია ვაჟკაცი კაცის ბუნება და ასეთი ადამიანები მუდამ გამარჯვებული გამოდიან.

ამ მხრივ რა შეიძლება ითქვას დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი თანამდებობის პირების მიმართ? ჩვენი აზრით უარყოფითი მეტია, ვიდრე დადებითი.

დავიწყოთ ქვეყნის პრეზიდენტ მარგველაშვილით. ის პრეზიდენტობის პირველი დღიდანვე თავის თავს პლასტელის უწოდებდა, ე.ი. როგორც პლასტელის ფორმის შეცვლა იოლად შეიძლება საითაც გინდა ისე, ასეა ჩვენი პრეზიდენტიც.

როცა რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა სურვილი გამოთქვა მზადა ვარ შეგხვდეს საქართველოს ხელისუფლების ხელმძღვანელობასო, მაშინ ჟურნალისტი შეეკითხა მარგველაშვილს, რას იტყვით პუტინის ამ სურვილზე? მარგველაშვილმა უპასუხა: ამის შესახებ ჯერ ამერიკის ხელმძღვანელობას მოველაპარაკებო და მერე მივიღებ გადაწყვეტილებასო. ესე იგი გამოდის, რომ ამერიკის გარეშე რაიმე გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად არ შეუძლია, მათი ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელია. ისმის კითხვა ასეთ პრეზიდენტს ქვეყნისთვის რაიმე სასარგებლოს მოტანა შეუძლია?

რა თქმა უნდა, არა!

რაც შეეხება ქვეყნის პრემიერ-მინისტრ კვიციანიშვილს, ის და მისი მთავრობა ჩანს ნაციონალურ კოპაბიტაციაში არიან და ორივენი თავს კარგად გრძობენ. მათ არ აწუხებთ ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობა – თუ რა ცუდ, გაუსაძლის ყოფაში არიან ადამიანები, არ ადგვებთ, არ აინტერესებთ სინამდვილეში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები, რომლებსაც სოციალურად დაუცველობის სტატუსი უსამართლოდ მოუხსნეს, ხოლო ბევრ შემთხვევაში მყოფ ადამიანებს კი შეუნარჩუნეს, ალბათ სოციალური აგენტებისადმი პატივისცემის მაგივრად.

საქართველოს პრეზიდენტს, არც მთავრობას, არც პარლამენტის ხელმძღვანელობას არ აინტერესებთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. დანტერესებული რომ ყოფილიყვნენ კონსტიტუციაში ჩაწერდნენ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის მთავარი პრიორიტეტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, მაგრამ ეს არ გააკეთეს, ე.ი. ცხადია, არ აინტერესებთ. მათ ინტერესშია მხოლოდ ნატო, ევროკავშირი, ამერიკა.

საქართველოს ხელმძღვანელობამ უნდა გააცნობიეროს, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია დიდ რუსეთთან ურთიერთობა-მეგობრობის გარეშე, აფხაზეთთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის გარეშე. სწორედ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა-გაუმჯობესების მომხრეები არიან გამოცდილი პოლიტოლოგები, ბატონო: ალექსანდრე ჭაჭია და ჰამლეტ ჭიპაშვილი, უშიშიშარი და ვაჟკაცი ქალბატონი, აღმოსავლეთმცოდნე, იზა თამაზაშვილი და ბევრი სხვა რეალურად მოახროვნენ ადამიანი.

მისასალმებელია პატროტოა აღიანისის ინი-

ციატივა და დიალოგის დაწყება რუსეთის ხელმძღვანელობასთან. ნაციონალური და მთავრობის ზოგიერთი წევრი აცხადებს, რომ მათი ასეთი ქმედება ქვეყნის დაღატოა. სინამდვილეში კი ვინც პატროტოა ამ ნაბიჯს დალატს უწოდებს, სწორედ ისინი არიან მტერი და მოღალატენი. ისინი თავი უნდა მოიხადონ მისწრაფვიან დასავლეთისკენ, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს არავინ მიიღებს არც ნატოში და არც ევროკავშირში. მიზეზი რა თქმა უნდა ტერიტორიული პრობლემაა.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოში მეტად ცუდი ვითარებაა, ხოლო მდგომარეობის გაუმჯობესება ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სწორი გზით წარმართვა ჯერჯერობით არ ჩანს.

ჩვენი აზრით საქართველოს ეშველება მაშინ, როცა ქვეყნის სათავეში მოვა ჭეშმარიტი ეროვნული ძალა, რომელიც იზრუნებს ხალხზე, მათ კეთილდღეობაზე და, რა თქმა უნდა, სამშობლოზე, ეროვნული ძალა, რომელიც, როგორც იტყვიან, კბილებით დაიცავს საქართველოს ინტერესებს ყველგან შინ და გარეთ, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმის შესრულებას, ხოლო სიტყვის, დანაპირების შეუსრულებლობის დროს გადადგება და პასუხისმგებლობასაც არ გაექცევა.

მინდა ერთ რამესაც გავუხვავა ხაზი. მთავარი ის კი არ არის, რომ მიღებულია და დამტკიცებული კარგი, სამართლიანი კანონი, არამედ ის, რომ კანონის უზენაესობის დაცვა სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის. თუ დამნაშავეა უნდა დაისაჯოს ვინც არ უნდა იყოს, იქნება ის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი თუ სხვა თანამდებობის პირი.

საქართველოს პროკურატურას, ცხადია, გააჩნია სათანადო ფაქტები იმის შესახებ თუ რა დანაშაულები აქვს ჩადენილი ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, ყოველივე ამის შესახებ საბუთები გადაეცა ხაენა უკრაინის ხელმძღვანელობას თხოვნით მოახდინოს სააკაშვილის ექსტრადირება საქართველოში, მაგრამ არავითარი რეაგირება ჯერჯერობით არ ჩანს.

თუ დასავლეთი, კონკრეტულად ნატო, ევროკავშირი, ამერიკა წინააღმდეგობა დაისაჯონ დამნაშავე ნაციონალები და მათი ლიდერები, თუ ისინი ხელს აფარებენ დამნაშავეებს, მაშინ საკითხავია რა გვინდა ნატოში, ევროკავშირში, ამერიკაში?!

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მთავარია კანონის უზენაესობის დაცვა. ყველა თანამდებობის პირი დიდი პასუხისმგებლობით უნდა განიმსჭვალოს დაკისრებული მოვალეობისადმი და თუ მართლა აწუხებთ ქვეყნისა და ხალხის ბედი ყოველმხრივ ეცადონ აღკვეთონ კანონზე ძალადობა.

მინდა მოვიყვანო მაგალითი თუ როგორ იცავდა კანონს თვითონ კანონმდებელი.

ამ საქმეში თავისი პრინციპულობით გამოირჩეოდა ეპიზეფორული კანონმდებელი ზელეკუსი, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე მეშვიდე საუკუნეში ცხოვრობდა. მის სახელს უკავშირდება პირველი ბერძნული წერილობითი კანონთა კრებულის შექმნა, რომელიც კანონებიდანაც 300 წლის განმავლობაში მხოლოდ ორი შეიცვალა.

კანონის უზენაესობის დაცვის დიდებული მაგალითი საკუთარ ხალხს თავად კანონმდებელმა მისცა. ზელეკუსის ვაჟი გარყვნილებაში ამხილეს. ზელეკუსმა კანონის აღსრულება მოითხოვა (კანონის მიხედვით უნდა მომხდარიყო თვალების დათხრა). მეფის გარემოცვა და მოსახლეობა დამნაშავეს შეწყალებას ითხოვდა. ზელეკუსმა შვილის აღზრდაზე პასუხისმგებელმა მამამ მისი სახეელიც გაინაწილა. ჯაღათმა ცალ-ცალი თვალთ დააბრმავა მამაც და შვილიც. აი, ასეთი პასუხისმგებლობის გრძობით როცა იქნებოდა გამსჭვალული თანამდებობის პირები, თითოეული მოქალაქე, სწორედ მაშინ ეშველება საქართველოს.

მურმან სანბულია,
ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული

კარგი თევზის ასარჩევად ეს რჩევები გამოგადგებათ – შეზოლილის, გაყინული თევზის და ხიზილალის აქონება

თევზის ყიდვისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. თევზი სასარგებლოა მაშინ, თუ მისი არჩევა იცით.

ინტერნეტგადაცემა “არცოდნა აკრძალულია” იმ ძირითად ნიშნებს გასწავლით, რომლითაც კარგი თევზის არჩევას შეძლებთ.

თუ თქვენ გირჩევენიათ ცოცხალი თევზის ყიდვა, აუცილებლად გაითვალისწინეთ, თევზი, რომელიც აკვარიუმის ფსკერზე ცურავს, საუკეთესოა.

მთვრდეთ აკვარიუმის ზედაპირზე მცურავ თევზს. მას უნდა ჰქონდეს ამობურცული, მზინვარე თვალები, დაუზიანებელი და პრიალა კუდი. ლაყუნები უნდა იყოს აუცილებლად ვარდისფერი, ან წითელი. თუ თევზის ლაყუნები ნაცრისფერი ან შავია, არავითარ შემთხვევაში არ იყიდოთ ის!

ბაზარში ხშირად გვთავაზობენ ოკეანის და მდინარის თევზებს, თუმცა დახლზე ასეთი თევზის ნაცვლად, შეიძლება აუზში გაზრდილი თევზი იდოს, არ მოტყუვდეთ და იცოდეთ, რომ თევზი, რომელსაც პატარა ფარფლები აქვს, დიდი ალბათობით აუზისაა, ბუნებრივ პირობებში გაზრდილ თევზს, დიდი ფარფლები აქვს.

მდინარის თევზის შავი კოპლები მის ავადობაზე მიუთითებს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძინოთ ის.

ყველაზე ხშირი ტყუილი, რომელსაც რეალიზატორები ამბობენ, გაყინული თევზის გაყინვაზე გასაღებაა. გაყინვა თევზი, თითის დაჭერის შემდეგ, მარტივად დაიბრუნებს პირვანდელ ფორმას.

გაყინვა თევზი, ხელში ადების შემთხვევაში არ უნდა იღუნებოდეს და თუ მას ძალით მოღუნავთ, მარტივად უნდა დაიბრუნოს პირვანდელი ფორმა. გაყინული თევზი პირვანდელ ფორმას ვერ დაიბრუნებს და მოღუნვისას შესაძლოა, გასკდეს კიდეც.

ხშირად გამძლეველ თევზს დებენ ქიმიურ ნივთიერებებში რომ დაიბრუნოს ის გარეგნული ფორმა, რომელიც გაყინვამ თევზს აქვს, ასეთი პროდუქტის ამოსაცნობად გააცხელეთ დანა, ჩაარჭეთ თევზში, თუ ის თევზისთვის არააღამახსიათებულ სუნს აუშვებს, არ მიირთვათ და განსაკუთრებით მთავრად ბავშვებს!

აუცილებლად გასათვალისწინებელია: გაყინული თევზი არ უნდა გააღლით ოთახის ტემპერატურაზე და მთუ შეეძლოს არც თბილ წყალში. მოთავსეთ ის მაცივარში და მერე დღეს გამძლეველი დაგხვდებათ, თუ გეჭიქებათ, გააღლით ის მარილიან, ცივ წყალში.

ხმელი თევზის შემთხვევაში, ის არ უნდა ინახებოდეს ვაკუუმში, მას თითქმის არ უნდა ჰქონდეს თვალები, თუ ასეთ თევზს ამოვსებული თვალები აქვს, ეს ნიშნავს, რომ ის არასაკმარის მარილში იყო, ასევე არ უნდა ჰქონდეს მარილის კვლიც, ეს ზედმეტი მარილის არსებობაზე მიუთითებს.

კარგი ხიზილალის ცნობაც არ არის რთული. დაახლოებით მდურადე წყალი მას, თუ წყალი გათვრდა ხიზილალა ნატურალურია, თუ წყალი სტაფილოსფერი და წყლის ზედაპირზე ცხიმი ტივტივებს, ასეთი ხიზილალა ფალსიფიცირებულია, გარდა ამისა არანატურალური ხიზილალის შემთხვევაში, მარცვლები ნელნელა გადნება და მთლიანად შეერწყება წყალს.

რაც შეეხება შეზოლილ თევზს, ხშირად დახლზე გვეხვება არა შეზოლილი, არამედ შევლები და არომატისატორებით გაჯერებული თევზი, რომელსაც შეზოლილი თევზისგან ერთი შეხედვით ვერაფრით გაარჩევთ. ასეთი პროდუქტის შესამოწმებლად, დაჭირდებით ხელსახოცი. გადაუხვით ხელსახოცი თევზს, თუ მასზე ფერი გადავიდა, ის შევლებილია.

შეზოლილი თევზი უნდა იყოს მთლიანად ერთი ფერის და არ უნდა ჰქონდეს დარჩენილი თეთრი, შეზოლილი ადგილები, გარდა ამისა, დაფასოებული შეზოლილი თევზის ეტიკეტზე შემადგენლობაში უნდა ექვროს მხოლოდ თევზი და მარილი, თუ პროდუქტს სხვა რაიმე დანამატი აქვს, ის არ არის ნატურალური.

ზუბილში თამაზ შორჭოლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

არასამთავრობო ორგანიზაცია „არტ-უნივერსალი“-ს ორგანიზებითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, კულტურის ცენტრ “ოდისის” დარბაზში, თამაზ შორჭოლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა – ამის შესახებ ინფორმაციას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მერიის ინფორმაციით, ხსოვნის საღამოზე თამაზ შორჭოლიანის მოღვაწეობასა და მის პიროვნულ თვისებებზე ისაუბრეს. მოეწყო მისი ცხოვრების ამსახველი ფოტოების გამოფენა და ვიდეო სლაიდი ჩვენება.

ხსოვნის საღამოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია, თამაზ შორჭოლიანის ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ. როგორც მამუკა წოწერიამ აღნიშნა, „თამაზი იყო, სიმბოლო სიყვარულის, მეგობრობის, ადამიანობის, სამშობლოსთვის თავგანწირული ადამიანი. მისი ცხოვრება სავსე იყო ქართველებით და სამშობლოსთან განშორების დიდი ტკივილით. თამაზს ჰქონდა საოცარი იდეები, რომლის განხორციელებასაც აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა, სამწუხაროდ. ის იყო დიდი ადამიანი, რომელიც სამშობლოსა და ოჯახის წინაშე გაღმოსხმული წავიდა ამ ქვეყნიდან. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ცხოვრება მის გარეშე.“

თამაზ შორჭოლიანის გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილზე, მის მონატრებასა და დიდ დანაკლისზე თამაზის მეგობრებმა მაიხურ ნანავამ ისაუბრა.

თამაზ შორჭოლიანის მეგობრებმა ლაშა გვასალიამ მისი ცხოვრების რამდენიმე ფრაგმენტი გაიხსენა და მასზე საუბარი თამაზ შორჭოლიანის საყვარელი ლექსით დაასრულა.

საღამო მუსიკალურად ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა “ოდისა“-მ გააფორმა.

თამაზ შორჭოლიანი იყო ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი, საქართველოს უზენაესი საბჭოს ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი. 1995-2014 წლებში იმყოფებოდა ემიგრაციაში, ბელგიის სამეფოში. თამაზ შორჭოლიანის ხელმოწერა საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. 2016 წლიდან 2017 წლის ნოემბრამდე იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.

2017 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არჩეულ იქნა ცაიშის მაჟორიტარ დეპუტატად.

თამაზ შორჭოლიანი 2 ნოემბერს ტრაგიკულად დაიღუპა.

ფსიქიატრიული კლინიკა, პალატა — 41

ამას წინათ, ბაზეთ „საქართველო და მსოფლიო“ ერთგული მკითხველი დამიკავშირდა, რომელმაც ვინაობის განსაზღვრებისგან თავი შეიკავა და მითხრა: ვერ შევხველი სახელისუფლებო პარტიისთვის ხმის მიცემა, მათ ბევრი „ცოდვენი“ დაუბროვდათ, იმედი მოგვიკლეს — ფლავი ბავილა და ქვეყანაში უკეთესობისკენ არაფერი შეიცვალა. პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება ატარებს, „ქართულ ოცნებასთან“ საერთო არაფერი აქვს და ყველაზე ამახრებელი მოტივები ლიბერალისტის — ლ. ბერკევიშვილის იდეას ახორციელებს: ჩვენ ხალხისგან ხმები გვინდა და არა მათი კეთილგანწყობა. საუბრის ბოლოს თავისი „საიდუმლოც“ გამანდო, რომელსაც მკითხველს წერტილის დასასრულს გავუხმებ.

ქართველი საზოგადოება დღეს იმ დირექტორებისთვის იბრძვის, რომელმაც დღემდე მოიტანა საქართველო. ბრძოლა კი იმითმთავრდება, რომ დამონებული ქვეყნის ხელისუფლებებს ეკრძალებათ გაუნათლებლობას, სიცრუეს, გახრწნილებას შეეწინააღმდეგონ და ამ „დირექტორების“ დასაცავად ანტიდისკრიმინაციული კანონი ამოქმედდეს. ხელისუფლების სათავეშიც ანტიქართული იდეოლოგიით ტრინაფეთქებული, ფულზე და სავარძელზე ორიენტირებული არსებები სხედან. ჩვენი პრეზიდენტი ვერასდროს დაემსგავსება ფილიპინების პრეზიდენტს — როდრიგო დუარტეს, რომელმაც აშშ-ს პრეზიდენტს — ობამას ხელის მხარზე მოთათუნების უფლება არ მისცა და მას მუქაობა შეიძლია უწოდა. ჩვენი პრეზიდენტისათვის ეს მოთათუნება ბედნიერების მწვერვალი იქნებოდა და ტელევიზიები წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ. საქართველოს პრეზიდენტის სავარძელში მჯდომ არსებას ასეთი პატივი რომ რეგებოდა აშშ-ს პრეზიდენტისაგან, არამცთუ ფეხზე, ჩოქჯინშიც დადგებოდა. დააკვირდით, რა ხდება პოლიტიკურ ველზე: პარტიების ნიღაბფარეზული ერთმანეთს სახელს უტეხავენ და ქვეყნისთვის მზრუნველ პოლიტიკოსებად საკუთარ თავს წარმოაჩენენ. ყველა პარტია უპირისპირდება „ქართულ ოცნებას“ და არა მის მმართველ ძალას — დასავლეთს. ყველა პარტია მხად არის შევარდნაძესა და აკაშვილის პოლიტიკური გზის განსაგრძელებლად. მოგესხენებათ, კრიმინალებიც ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ არა კრიმინალის აღმოფხვრისათვის, არამედ პირველობისთვის. ჟურნალისტებიც უარყოფითად აფასებენ იმას, რაც ადრე დირექტორებად ითვლებოდა. ამიტომაც ჩარეცხეს საღად მოაზროვნე პროფესიონალები და მათ ადგილს დაბალი კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენლები იკავებენ.

სრულიად იმედგაცრუებული ახალგაზრდობა დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში არაფერი შეიცვლება და ისე გარბის საქართველოდან, როგორც მტრისგან. განათლების სამინისტრო, რომელიც უცხოურ განათლებას ღობირებს, რეკლამას უკეთებს ამერიკულ განათლებას და დიპლომს თსუ მე-2 კორპუსის ფასადზე. — რა უნდა ვისწავლოთ ჩვენ 200 წლიანი ქვეყნისაგან? — პროტესტს გამოთქვამენ ქართველი სპეციალისტები. თავად ამერიკელი იურისტი — ჯონ უაიტჰედი დიდა აცხადებს, რომ ამერიკის საკუთარ მოქალაქეებზე სახიფათო იარაღისა და ტექნოლოგიების საიდუმლო ტესტირებას ახორციელებს და ქმნის იმ საფრთხეებს, რომელსაც შემდეგ ებრძვის. ხელისუფლება, რო-

გორც იქნა მიხვდა, რომ განათლების მინისტრი დაცინვის ობიექტად არ უნდა იქცეს და ა. ჯეჯელავა განათავისუფლა თანამდებობიდან, მაგრამ მისი „საქმენი საგმირონი“ განაგრძობს არსებობას: გაეროს ბავშვთა ფონდიდან მიღებული დირექტივების თანახმად საბავშვო ბაღებში ბავშვთა თავი არ უნდა იგრძნოს იმ სქესის წარმომადგენლად, რომელიც არის. დიახ, ა. ჯეჯელავა — გარეგნულად უწყინარი იუმორისტული ჟურნალის პერსონაჟი და შინაგანად სექსუმიტირების იდეოლოგი, ამ დირექტივის განხორციელებას შეუდგა! საინტერესოა, თავად თუ აღიქვამს თავს იმ სქესის წარმომადგენლად, რომელიც ბიოლოგიურად არის?

პარლამენტში ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი ადამიანებიც არიან. ერთერთმა პარლამენტარმა ჩემი თანდასწრებით ისაუბრა დასავლეთში მიღებული განათლების შედეგზე. მაგალითად მოიყვანა პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ქალბატონი, რომელსაც დოქტორის წოდებაც აქვს, მაგრამ კვლავ ნატო-ვეროკავშირზე საუბრობს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ფაქტის წინაშე დააყენა მსოფლიო, როცა ქმნა ჩავლო ხელი ამერიკას და სირიიდან გამოათრიაო. როგორ აუდიტორიაზე გათვლილი ლიბერალისტების რიტორიკა? ითხუე ვებელსი ფაშისტური იდეოლოგიით გვარწმუნებს: „მომეცით მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ნებისმიერ ერს დორების კოლტად გადავაქცევ“. ამერიკა დღესაც გუბელსის პოლიტიკას ახორციელებს, რასაც საქართველოს ხელისუფლებაც შეუერთდა თავისი ხალხის წინააღმდეგ. მსოფლიოს ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მსხვერპლია. საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა სივრცემ ფსიქიატრიული კლინიკა გამახსენა, სადაც ავლიპ ზურაბაშვილისა და მირიან მესტიაშვილის ხელმძღვანელობით პრაქტიკა გავიარე. ბ-ნი ავლიპი პაციენტებთან ფსიქოთერაპიის სესანებს ატარებდა. ერთერთ ცნობიერებადარღვეულ პაციენტს გულდასმით არწმუნებდა: „აბა როგორ შეიძლება შენი შეილი შენი დედა იყოს?“ ამავე ლოგიკით შეიძლება ჩავუტაროთ ფსიქოთერაპია ხელისუფლებას: როგორ შეიძლება მსოფლიოს №1 ტერორისტი ქვეყანა ვინმეს მეგობარი იყოს? როგორ შეიძლება პარტიების ნიღაბფარეზული ხელისუფლება ქართულ მიწა-წყალს ყიდდეს უცხოელებზე, რითაც ქართველს სამუხეულო ექსპონატად გადაქცევა ემუქრება? როგორ შეიძლება ხალხის გადატაცებისა და შიმშილობის ფონზე ხელისუფლება მდიდრდებოდეს და ფუფუნებას არ იკლებდეს? როგორ შეიძლება ქართველები უცხოელთა ბორდელის მომსახურე სექსუალურად აქციონ და ეს ინვესტიციად ჩათვალო? როგორ შეიძლება არატრადიციული ორიენტაციის არსება მასწავლებლობდეს და მე-7 კლასის მასწავლებლებს ტრენინგებს უტარებდეს? „ინი დათვალის ზღვაში ქვიშა“ იმდენი მსგავსი არგუმენტის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ხელისუფლებას ფსიქოთერაპია აღარ უშველის, რადგან ფული და თანამდებობა მათი ცხოვრების არსი. წლების შემდეგ, ამჯერად უკვე დავით წეროლის საფუძველზე, კვლავ მოვიხსენებ ფსიქიატრიული კლინიკა და პაციენტებს ტკბილეულით ბარბარობა მივულოცე. ყველა პაციენტი თავის სტიქიაში იყო, ერთი ახალგაზრდა მამაკაცის გარდა, რომელიც იღვა და ელოდა... დიაგნოზი — დეპრესიული ფსიქოზი. ეს პაციენტი დღესაც თვალწინ მიდგას და პარალელს ვაკლებ ქართველ საზოგადოებასთან, რომელიც ასევე დგას და ელის... ქართველ საზოგადოებას მივმართავ: ქარიზმატული ლიდერი უკვე ჰყავდა საქართველოს და ვნახეთ რაც მოუტანა ქვეყანას. თქვენი გულის ხმა თქვენი ლიდერიც და თვალაწიერიც. როცა ბასტიონის აჯანყება მოხდა, საქართველოს მამულიშვილები ჰყავდა, ახლა უძღვები შეიღები ჰყავს ღორის სინდრომით შეპერობილი. მამულიშვილებს გული ჰქონდათ, რომელიც ქართულად უძგერდათ და ფულს არ

ელოდნენ. მაინცდამაინც 600 ათასამდე უნდა შემცირდეს მოსახლეობის რაოდენობა და სამუხეულო ევოლუციურ ექსპონატად ვიქცეთ? ღვთისმშობელმა რუსეთის მეზობლობით თავისი მადლიანი კალთა გადააფარა საქართველოს, რათა რწმენითა და ღირსებით გვევლო. ჩვენ კი ვდგავართ და ველოთ... ქართული სულიერებისა და გენოფონდის დასამარებას.

ქართველმა საზოგადოებამ პროტესტი „ქართული მარშის“ სახით გამოხატა, მაგრამ ქვეყანას მიზანტარა არა აქვს? ერთ-ერთი ოპოზიციური ბაზეთი წერდა — „ქართული მარში“ მხოლოდ ლგბტ პროპაგანდას უპირისპირდება. საზოგადოებას ჩემი თვალსაზრისი მინდა გავაცნო: „ქართული მარშის“ წარმომადგენელთა შორის არიან „კალიან ქართველები“ და უბრალოდ — ქართველები... ერთ-ერთი „ბაღიანი ქართველი“ ვკითხე — ის მარში რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებთან თანხმობაში რომ იყოს, რას მოიგოქმედებდით? — „მე რუსეთის ინტერესს არ გავატარებ“ — იყო პასუხი. რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესი უნდა გავატაროთ, მაგრამ ვკითხე: მარშის ინიციატორებს: გაჭმთ კი ბერკევიშვილის რუსეთის ინტერესს (როგორც გვერდით რუსეთი უდგას), ახმარაბიჯანის და თურქეთის ინტერესებს სა-ქართველოს ტერიტორიის გაბლუჯას რომ ცდილობენ?

რა თქმა უნდა, ამაზე პასუხი არა აქვთ, მაგრამ დასავლეთიდან შემოთქმულია-ღმერთების იმედი აქვთ. რაც შეეხება ამ პროტესტის ფორმას და სახელწოდებას, რატომ უნდა ავიღოთ მაგალითი დასავლეთის ქვეყნებიდან, როცა ყველაფერი, რაც არ მოგვწონს დასავლეთიდან მოდის? რატომ ვებრძვით შედეგს და არა ყველა უბედურების სათავეს — დასავლურ ორიენტაციას? იქნებ ქართველებმა მაგალითი საქართველოს ისტორიიდან ავიღოთ და „კარგად დავიწყებული ძეგლი“ გავისხენოთ, მაგალითად: „მეფიცვლები“, „ფიცის კეპი“, „მამულიშვილთა კავშირი“. წინა წერილში (ს.მ. №29) ვისაუბრე მოთხოვნებზე, რომელიც საზოგადოებამ უნდა დააყენოს (პირადობის მოწმობაში ეროვნების გრაფის აღდგენა, მიწის ნაციონალიზაცია და სხვ), მაგრამ როგორც პოლიტიკის ექსპერტმა მიხრა, ამ მოთხოვნებს არავინ დააყენებს, რადგან ეს დასავლურ ორიენტაციასთან და ბ. ივანიშვილთან დაპირისპირებას ნიშნავს. აქედან დასკვნა: ამ ადამიანებისთვის სამშობლო ბ. ივანიშვილია და არა საქართველო. „ქართული მარშის“ საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა — ბექა ვარდოსანიძემ გაანაჯაროვა დოკუმენტი, რომელშიც საუბარია, რომ სოროსის ფონდი დღესაც აკონტროლებს ჩვენს ხელისუფლებას და უფრთხის ეროვნული ძალების მოსვლას ხელისუფლებაში. ამ ფონდს ჰქონდა გავლენა სააკაშვილის ხელისუფლებაზე და ამ ხელისუფლებასაც აკონტროლებს. ქვეყანაში სოროსის არაოფიციალური მმართველობა და ამ ფონდთან შეუთანხმებლად ხელისუფლება ვერცერთ საკითხს ვერ წვევს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროექტების დაფინანსება ანტისახელმწიფობრივია, ხელისუფლება ამ ფინანსებზე უარს არ ამბობს. ასევე, ხელისუფლება

დინტერესებულია მუდმივად იყოს დაბაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის, რადგან მტრის ხატის შექმნა რუსეთისგან ასევე დასავლეთიდან ფინანსდება და არ უნდა ამ ფულის დაკარგვა.

სახელისუფლებო პარტიას 30 ოფიციალური მულტიმილიონური უზის ხელისუფლებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი საცოდავი ხალხის ჯიბიდან ამოღებული ფულით ფინანსდება — „ქართული ოცნება“ — 2 მილ 81 ათასი ლარით; ნაც. სექტა — 1 მილ 21 ათასით. ასევე, ყველა პარტია, რომელიც 3%-იან ბარიერს გადალახავს 300 ათასით ფინანსდება ყოველ წელს. ასე, რომ პოლიტიკოსებს სხვა რა საჩუქრები უნდა ჰქონდეთ, თუ არა ბარიერის გადალახვა?!

თუ წარსულში დიდ ვაჟა-ფშაველას საქართველო ყვა-ფორნებთან მებრძოლ დეპრესიულ არწივად ესახებოდა, დღეს ქართველი ხალხი უყურებს და უსმენს უზნებობას, რომელსაც ხელისუფლება სთავაზობს. დასავლეთმა ინოვაციური იდეების პრაქტიკულად განხორციელება არ იკმარა და ბრიტანეთში, ბირმინგემის უნივერსიტეტში ჯგუფური სექსის თემაზე დისერტაციაც დაიცვეს. სსრკ-ს დროს კი არსებობდა უზნობა, მორალი და ერთმანეთს ამ დირექტორებში ვაფასებდით. ამიტომ, აღფრთოვანებით შევხვდი ახალგაზრდა სოციალისტების გამოსვლებს მოსკოვში. როგორც ჩანს, ჯერ ყველა დირექტორი არ დაგვიკარგავს. რამდენიმე ხნის წინ ერთმა ჩემმა თანამოაზრემ ოპოზიციური გაზეთის ერთ წერილზე მიმითითა, სადაც ჟურნალისტი წერდა: თუ უნდა პუტინს საქართველოს ისტორიაში კაცად დარჩეს, ტერორიზმი უნდა დაგვიტოვოს. ვუდასტურებ პაციენტებს ამ გაზეთის ჟურნალისტებს, მაგრამ, სათქმელი უნდა ითქვას: ამ რეკონებში მცხოვრები ადამიანები პაიკები არ არიან და რუსეთის მფარველობის ქვეშ უჩვენებთ ცხოვრება. რატომ უნდა დააბრუნოს რუსეთმა ეს ტერიტორიები, ამერიკის ინტერესები გაატაროს ნატოს ბაზეთის განსათავსებლად და მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ ლიბერალ-პედერასტები აჯლიგინოს? მოდით, პუტინის კაცობაზე საუბარს, რომელმაც დანოქებული რუსეთი ფეხზე წამოაყენა და რომლის რეკონები ქვეყანაში 87%-ია, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას მიუთითოთ კაცობისკენ საქართველო რომ დააჩოქეს. ჩემო ძვირფასებო, ნუ მოგჭრით იმ ტოტს, რომელსაც შეიძლება კიდევ ჩავეჭიდოთ, რათა ამ მყრალი ჭაობიდან თავი დავიხსნათ. ჩვენ უნდა გავაფორმოთ რუსეთთან სამხედრო-სტრატეგიული სამოკავშირეო ხელშეკრულება და შემდეგ უნდა ვისაუბროთ ტერიტორიულ მილიანობაზე და სასრულს, ლიბერალტებს ჩემი იდეოლოგიით კუჭის ამშლელ რეცეპტს ვთავაზობ: სსრკ ჩემი სამშობლო იყო, ხოლო საქართველო — დედა-სამშობლო!

ჩემს თანამოაზრეებს კი დიდი გოეთეს ლექსის მცირე პერიფრაზით ჩვენი პატარა საქართველოს სიყვარულის ფორმულას ვთავაზობ:

„როგორ სამშობლოს ისურვებდი? როგორცა მაქვს, მცირედით ბევრი მბოძებია, ზღვის პირს ნივარებს ვეძებდი მე, დავიხარე და მარგალიტი კი შემრჩა ხელში. დაე, დარჩეს ჩემს მეკრძხე იგი“.

დიახ, საქართველო ის მარგალიტია, რომელსაც გულიდან ვერასოდეს მოიგლეჯ!

P.S. წერილის დასაწყისში მკითხველის „საიდუმლო“ ვახსენე, რომელსაც უცვლელად ვთავაზობ: „საარჩევნო ბიულეტენზე ყველა პარტია გადავხაზე და მივაწერე: ქართული მიწა-წყლის გაბეჭდვებო, სწორება ჩოქჯინში ამერიკელთა საზარდულთან“

P.P.S. ოფიციალური ინფორმაციით საქართველოში 108.615 ათასი უცხოელი ჩამოსახლდეს, 2013 წლიდან 2017 წლამდე 85.604 უცხოელმა მიიღო ბინადრობის უფლება.

სასოწრებელად სული ქალაქი განდა თბილისი, განსაკუთრებით, ის რაიონები, რომლებიც ადრე პრესტიჟულად ითვლებოდა

უძრავი ქონების სააგენტოები ირწმუნებიან, რომ დედაქალაქიდან გამოსვლა მათთვის მატულობს. დაბინძურებული ჰაერისა და ეკოლოგიური პრობლემების გამო თბილისის შემოგარენი საცხოვრებლად სულ უფრო პოპულარული ხდება. გოლოტი, კრემლი, წყნეთი, ტაშივო, წავისი, საბურთალოსა და ცხინვალის რაიონები დასახლების მსურველთა რიცხვი ბაიზარდა. წინასწარი პროგნოზით, თბილისიდან გასვლის მოსურველთა რაოდენობა სამომავლოდ კიდევ უფრო გაიზარდება.

„ზოგადად, დედაქალაქიდან გასვლა არა მხოლოდ საქართველოსა და, კონკრეტულად, თბილისის ტენდენციას, არამედ მთელ მსოფლიოში ყველა გარბის ქალაქიდან, თუკი ამის შესაძლებლობა აქვს. ამაში არაფერია გასაკვირი. შესაბამისად, თბილისიდან გასვლის ტენდენციაც ლოგიკურად შეგონება, რადგან ცუდი ქალაქი გახდა თბილისი, განსაკუთრებით, ის რაიონები, რომლებიც ადრე პრესტიჟულად ითვლებოდა. ვგულისხმობ შუაღელურ რაიონებს. ეს არის საბურთალო, ვაკე, აღმოსავლეთი დასავლეთი, და ვით ადამიანების პროსპექტზე, რუსთაველის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე.“

დედაქალაქის ახალი უბნები უკვე წარმოუდგენელი მაღალი სიმჭიდროვით ხასიათდება. ცხოვრება არ არის მხოლოდ კარგი საძილე პირობები და ნორმალური ბინა, არამედ მთავარია, როგორია ის გარემო, სადაც საცხოვრებელი სახლი დგას, როგორ შეუძლიათ ბავშვებს გაერთონ, ითამაშონ, შეიძლება თუ არა მანქანის პარკირება, გარშემო არის თუ არა სიმწვანე, წყალი, აუზი. ამის გარეშე ნორმალური საცხოვრებელი გარემო ვერ იქმნება, - აცხადებს ვახტანგ დავითაია ორ.გე-სთან საუბარში და მიიხსენებს, რომ ფილარმონიიდან დაწყებული, ნებისმიერ პრესტიჟულ რაიონში 20-30 წლის წინ არსებული ნორმალური ინფრასტრუქტურის მოშლამ დედაქალაქში ცხოვრება სულ უფრო არაკომფორტული გახადა.

ვახტანგ დავითაიას აზრით, თუკი დედაქალაქიდან გასვლა მზარდი პროცენტია, მაშინ მთავარია, ქალაქიდან გასვლის შემდეგ რას შევთავაზებთ

ადამიანებს და რამდენად დავაკმაყოფილებთ მათ მოთხოვნებს. მისი თქმით, საცხოვრებელი სახლი შუშის იქნება, მეტალის თუ აგურის, ეს არ არის უშუალოდ ეკოლოგიასთან დაკავშირებული, მაგრამ როდესაც სივრცე გადატვირთულია, განუზომლად მეტია გაშენების ფართი და ეს ყველაფერი ხდება გამწვანების ხარჯზე, ეს უკვე ეკოლოგიური პრობლემაა.

გარემოს დაცვის სპეციალისტი კახა ბახტაძე იხიარებს უძრავი ქონების სააგენტოების მონაცემებს, რომ დედაქალაქის მცხოვრებნი თბილისის შემოგარენში გადასვლას ანიჭებენ უპირატესობას. ჩვენთან საუბრისას კახა ბახტაძე განმარტავს, რომ ბევრი ადამიანი ცდილობს, საბოლოოდ გავიდეს დედაქალაქიდან და ეს ბუნებრივი პროცესია, რადგან ეკოლოგიურად დაბინძურებულ ტერიტორიას მოსახლეობა გაუზრბის. უამრავი განვითარებული ქვეყანა ამ პროცესშია და ეს გარდაუვალია თბილისშიც, რომელიც არსებულ საზღვრებში ვეღარ ეტევა და გადის გარეთ.

ასეთ დროს მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა შეიმუშაოს, რათა ადამიანებს დედაქალაქიდან გასვლის საშუალება მიეცეთ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს თითქმის ყველას მანქანა აქვს, მაინც გარკვეულ პრობლემას უკავშირდება ყოველდღიურად თბილისის შემოგარენიდან დედაქალაქში სამუშაოდ ჩამოსვლა. ამიტომ რაღაც ნაირად შეიძლება სატრანსპორტო სისტემა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა გაუმჯობესდეს ქალაქშიც და ქალაქს გარეთაც.

„მშენებლობის მასშტაბი თბილისში

ძალიან დიდია. არსებულ ბინებს კიდევ უამრავი ბინა ემატება და ამ ყველაფერს ჩვენ ვხედავთ. ბინებზე მოთხოვნა მაღალია, რადგან პარალელურად იზრდება დედაქალაქის მოსახლეობის რაოდენობაც. საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი თბილისში ცხოვრობს. ამ ფონზე ბევრი ადამიანი ხვდება, რომ ასეთ ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრებას უარყოფითი ზეგავლენა აქვს მათ ჯანმრთელობაზე. ამიტომაც ადამიანები ცდილობენ, თბილისის გარეთ გავიდნენ და შემოგარენიდან იარსონ დედაქალაქში სამუშაოდ. ძველი და ახალი თბილისელები სწორედ ასეთი მიდგომით ცხოვრობენ“, - აღნიშნა კახა ბახტაძემ.

რაც შეეხება წყნეთს, კიკეთს, წავისს, საგურამოსსა და ცხვარისს, გარემოს დაცვის სპეციალისტის თქმით, ეს ტერიტორიები ეკოლოგიურად მართლაც სუფთაა. ახლა კეთდება თბილისი-რუსთავეის გზა და ამ გზის მშენებლობის შემდეგ ბევრი სხვა ტერიტორიაც შემოემატება დედაქალაქს, სადაც შესაძლებელი იქნება ურბანული განვითარების გავრცელება.

კახა ბახტაძე არც იმას მაღავეს, რომ თავდაც აპირებს წყნეთში გადასვლას, სადაც მშობლების ბინა აქვს. უფრო მეტიც, ბევრი ადამიანი, ვინც მის გარშემოა, საცხოვრებლად ქალაქგარეთ გადასვლას გეგმავს.

„თბილისი ამით არ დაცარიელდება. ეს კარგია, რომ თბილისში ეკოლოგიურად დამბინძურებული სიტუაცია განიმუხტება.“

მანანა ნოზაძე

ჯანსაღი სსოვრების 5 წესი ლეო ბოკერიასთან

ლეო ბოკერია ცნობილი ექიმი, პროფესორი, უძლიერესი კარდიოქირურგი. წარმოშობით ოჩამჩირელი ექიმი წლებია რუსეთში მოღვაწეობს. პაციენტებზე მზრუნველმა ექიმმა საფუძვლიანად შეისწავლა ადამიანის ორგანიზმის ყველა თავისებურება და მას მის საქმიანობაში ყოველ დღე ურად იყენებს.

ერთ-ერთ რუსულ გამოცემასთან საუბარში, 77 წლის ლეო ბოკერიამ პაციენტებს ის 5 პრინციპი გააცნო, რომელსაც ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების წესის შენარჩუნებისთვის წლებია იცავს:

1. იმობილიზაცია!
- არამხოლოდ მე, არამედ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მიიხსენებს, რომ ადამიანმა უნდა გადაადგას არანაკლებ 100.000 ნაბიჯი ყოველდღიურად - ეს დაახლოებით 40-წუთიანი შეუწყვეტელი სიარულია. ამასთან, არ არის აუცილებელი იქნაროთ, სეირნობა უნდა იყოს მშვიდი ტემპში. იდეალურია, თუ მოძრაობის დაწყებამდე გაისინჯავთ პულსსა და წნევას. მსგავსი სეირნობა დადებითად მოქმედებს სუნთქვაზე, გულის რიტმზე, ავარ-

ჯიშებს კუნთებსა და სისხლძარღვებს.

2. იმავით ოპტიმიზტი
- ყოველ დღეს ვიწყებ დიმილით! შეიძლება იფიქროთ, რომ ეს სისულელეა, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ამართლებს - მალევე გიქმნის საჭირო განწყობას, რომელიც მერე მთელ დღეს მიგყვება. გაუღიმეთ საკუთარ თავს სარკეში, გაღიმეთ ახლობლებს და მეგობრებს და განწყობა მაშინვე გაგიუმჯობესდება. მე მეაფს არანაყოფიერებოვო თქვა, სადაც ყველა ერთმანეთის მეგობარია, უყვარს და ენდობა ერთმანეთს. ძალიან მახარებს რომ ჩემი ორივე ქალიშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, ისინიც და ჩემი შვილიშვილებიც დიდი ოპტიმიზტი არიან. დამტკიცებულა: ოპტიმიზტი ცხოვრობენ უფრო დიდხანს.

3. გვირდით იყოლით მებოზრები
- მეგობრები ყველაზე საუკეთესო რამაა, რაც ჩვენს არეულ ცხოვრებაში არსებობს. ჩემს ცხოვრებაში არის რამდენიმე მეგობარი, რომელიც ნებისმიერ მომენტში მზად არის გვერდით დამიდგეს. დროდადრო ეს ძალიან გამჭვიდებს და მხარდაჭერას გაგრობინებს.

4. აკონტროლეთ წონა
- 60-იანი წლების დასაწყისში, ასპირანტურის შემდეგ, ატელიეში კონსტიპაციას ვიკრავდი. ცოტა ხნის წინ, ნივთების გადაღების დროს აღმოვაჩინე ძველი კონსტიპაცია. ხუმრობით გავიფიქრე, მოვიცვამეთქი და საოცრება, მომერგო! სამსახურშიც კი ჩავიცივი რამდენ-

ჯერმე. რა მინდა ამით ვთქვა - ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე, თქვენი წონა ერთ ნიშნულზე შეინარჩუნოთ. საჭიროა ზომიერი, მრავალფეროვანი კვება, რომ შეინარჩუნოთ ფორმა და თქვენი გული მაღლობს გეტყვით.

5. აირჩიეთ ცხოვრების საძმე
- მე უკვე 40 წელია არ ვიცვლი პროფესიას. მიყვარს ის და ვცდილობ გავაკეთო ყველაფერი, რაც ჩემს ძალებშია, რომ ბავშვთა კარდიოლოგიაში ყველაფერი წესრიგში იყოს. ძალიან მახარებს, რომ ჩემმა შვილიშვილებმა იციან ჯანსაღი გულის, კარდიოლოგიისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შენარჩუნების შესახებ. მე ვამაყობ ჩემი ცხოვრების საქმით, ჩემი შთამომავლებიც ამაყობენ ამით. ეს მაძლევეს ძალას ცხოვრების გაგრძელების, ბრძოლის გაგრძელების იმ პატარების სიცოცხლისათვის, რომელთაც გულის პრობლემები აქვთ.



მირიან ჯალაღონიას ხსოვნას

92 წლის ასაკში გარდაიცვალა ქვეყნის განათლების სისტემის დეპარტამენტის მუშაკი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, ვახტანგ გორგასლის ორდენისა და 12 მედლის კავალერი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის „ქალღმერთი“ და „ფაზისის“ აკადემიების ნამდვილი წევრი, პროფესორი მირიან ფილიპეს ძე ჯალაღონია.

მის ბიოგრაფიას ოდნავაც არ სჭირდება შელამაზება. დაიბადა ჩხოროწყის რაიონის სოფელ სარაქონში. სწავლობდა სარაქონის დაწყებით, ნაკათის არასრულ საშუალო და ჯიხაშკარის სკოლებში. გამოიარა დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიანი დღეები. დემობილიზაციის შემდეგ ერთი წელი იმუშავა კოლმეურნეობაში ბრიგადირად, კომკავშირის მდივნად. 1950 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენათა ფაკულტეტი. ასევე დაუსწრებლად დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობდა გაგრამი სკოლის დირექტორად, მასწავლებლად. 1966 წელს ის ოჯახთან ერთად გადმოვიდა სოხუმში მუდმივ საცხოვრებლად. მუშაობდა ქალაქის საბჭოში, ამავე დროულად, პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენათა ფაკულტეტის ლექტორად. გამოქვეყნებული აქვს 10 წიგნი და პუბლიცისტური წერილები. 1993 წლის სექტემბერში ის,

როგორც დევნილი, თავს აფარებს ბათუმს, სადაც კოლეგებმა დიდი სიყვარულით მიიღეს, აირჩიეს უცხო ენების ფაკულტეტის კათედრის გამგედ. იგი იყო მრავალმხრივი განვითარებული. ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობისას იგი ამყვანებდა სისპეტაკეს, სიკეთეს, კეთილსინდისიერებას.

მირიან ჯალაღონია აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან, მათ შორის გაზეთ „ილორთან“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნათესავეებს, მეგობრებს იმედოდ ისდა გვრჩება, რომ მისი, სახელოვანი მოქალაქისა და ღირსებით შემკულ წმინდა სახელს, დროთა დინება ვერ ამოშლის ქვეყნის ღირსეულ მამულიშვილთა მემორიალიდან.

მეგობრები და ნათესავები



“გაგაუხიანათ, მაგრამ 90-იანი წლების მიწურულს პიკასას დავაბრუნებ!”

1980 წლის ოლიმპიური თამაშების პრეს-კონფერენციაზე გაერმანელმა ჟურნალისტმა ებერჰარდ ბოკმა სანევეის მიღწევები გაიხსენა: ვიქტორი არის მეხიკოს (1968), მიუნხენის (1972) და მინრეალის (1976) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი. ვიქტორ სანევეს მეოთხე ოქროს მოპოვების შესაძლებლობა უბრალოდ არ გეტყობოდა. ამის უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ რომ საქართველოს სახელით ასპარეზობდა და საბჭოთა ოლიმპიურ ისტორიაში რუსებს გაუსწრებდა.

სამწუხაროდ, სანევეის გარჯა საქართველოში არ დააფასეს და დიდი სპორტსმენი შორეულ ავსტრალიაში გადასახლებისთვის ვაჭირეს. მართალია, საბჭოთა კავშირის წლებში სანევეს ამ ქვეყნის უმაღლესი ჯილდოები გადაეცა: ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, ხალხთა მეგობრობის ორდენი. ის სამშობლოშიც დააფასეს და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი მიანიჭეს. ქართველმა ჟურნალისტებმა ვიქტორი მეოცე საუკუნის საკეთესო სპორტსმენ ვაჟად დაასახელეს. აღიარება არ მოკლებია, მაგრამ ადამიანმა ოჯახი უნდა არჩინოს და მუდმივი სამსახური მქონდეს...

ვიქტორ სანევეი საკუთარ სპორტულ ბიოგრაფიას თავადვე გაიხსენებს.

„ბავშვობიდანვე ძალიან მორბავი ვიყავი, სულ დასვტოდი, დაკრბოდი, ცეცხრავდი... ტანი რომ ავიყარე, კალათბურთის თამაშშიც დავიწყე, ერთ დღეს კი ჩემმა მეგობარმა კოტე ნარმანიამ კალათბურთიდან მძლეოსნობაზე გადასვლა მირჩია.

ერთ მშვენიერ დღეს სოსუმის მე-8 საშუალო სკოლის მოსწავლეები ფეხბურთის კალათბურთის მოედანზე ვთამაშობდით. კარად ფარის ძეგლებს ვიყენებდით. ერთ მომენტში დაგარდნილ მეტოქეს გადავახტი და წაშვი სკოლის დირექტორის, ტაისია მაღივინას ხმა მომესმა, თავისთან მიხმობდა. მის გუგრდით ტანხმელი კაცი იდგა. ქალბატონმა ტაისიამ იმ მამაკაცს ჩემზე მიუთითა და უთხრა: გაიცანიოთ აკოვ სამეველი, ეს ვიქტორ სანევეია, ჩვენი ჩემპიონი... ასე გავიცანი აკოვ კერსელაინი.

ჩემი პირველი სერიოზული ნახტომი 14.90 მეტრი იყო, საუკეთესო კი 17.44 მეტრი – ეს შედეგი სოსუმში 1972 წელს ვაჩვენე და მსოფლიო რეკორდიც დავამყარე...

1963 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ვოლგოგრადში უმახინძლა. იმ დროს უკვე საქართველოს ჩემპიონი ვიყავი და იქაც პირველი ადგილის მთავარ პრეტენდენტად ვითვლებოდი, მაგრამ შესამებზე გავედი. შეჯიბრების დასრულების შემდეგ სათადარიგო მინდორზე განემარტოვებოდა და ავტორად. არც მანამდე და არც მერე წავაგების გამო არ მიტერია. ალბათ ამიტომაც დამამახსოვრდა ის წარუმატებლობა.

1967 წელს ხალხთა სპარტაკიადაზე სივრცეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდს მერე ივორ ტერ-ოვანესიანთან წავაგე და მეორე ადგილზე გავედი – 7.83 მეტრზე გადავხტი. იმ დღეს ჩვენი, სამხრეთკავკასიის შეჯიბრი დილით, 11 საათზე დასრულდა, სივრცეზე ხტომა კი საღამოს 6 საათზე დაიწყო. სპარტაკიადის მოსკოვის „ლუჟნიკი“ მასპინძლობდა, ჩვენი დელეგაცია კი სტადიონიდან ძალიან შორს ცხოვრობდა. სასტუმროში წასვლას ახრი არ მქონდა – გზაში დავიღვლოდი, ამიტომ იქვე, სტადიონზევე მომეხვეს სკამი და წამოვიწვი, დავიძინე. სწორედ ამან შემეძალა ხელი. ტერ-ოვანესიანი კი მოსკოველი იყო, სახლში მივიდა და „ლუჟნიკზე“ დასვენებული დაბრუნდა. დღემდე არ მაიწვილებს – მასთან სულ 10 სანტიმეტრი წავაგე...

სპარტაკიადის შემდეგ კიევში ევროპის თასი გათამაშდა. მაშინ ნაკრებში მეორე ნომერი ვიყავი, მაგრამ მწვრთნელმა ალექსანდრ ზოლოტარიოვის ნაცვლად მე დამაყენეს. ცოტა კი ვინერვოულე, მაგრამ გავედი და 16.67 მეტრი გავიმარჯვე. ჩემი პირველი ადგილით გუნდშიც მოვიღო და ეს ორმაგად სასიხარულო იყო! კიდევ ის გამიხარდა, რომ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, პოლონელი იოზეფ შმიდტიც დავამარცხე.

კარიერის პიკი 1975-1976 წლები იყო, მაგრამ სტატისტიკურად თუ დავთვლით, ყველაზე კარგი შედეგები 1967-1972 წლებში მიიღია: ამ ხუთ წელიწადში 110 ტურნირზე გავედი და 90 მოვიგე.

ყველაზე ტკბილად 1968 წელი, მეხიკოს ოლიმპიური თამაშები მახსენდება – კარიერის განმავლობაში სამხრეთკავკასიაში ბილიკზე ყველაზე დიდი ბრძოლა სწორედ იქ გადავიტანე! ეს იყო ნამდვილი სპორტული ფიორვერკი, მარტო ის რად დიხს, რომ იმ პაექრობის დროს 5-ჯერ დამყარდა მსოფლიოს რეკორდი! ოქრო რეკორდით მოვიგე! მიუნხენსა და მოსკოვზე

იგივეს ვერ ვიტყვი. ჩემთვის ოლიმპიური თამაშები ზეითან ასოცირდება, მიუნხენსა და მოსკოვში კი ზეითისთვის ძალიან ბევრ პოლიციელს ვხედავდი, რაც განწყობას მიუფერულვებდა.

ჩემთვის მთავარი ყოველთვის სპორტულ არენაზე გამარჯვება იყო, მაგრამ უყურადღებობის გამო გულიც ხშირად დამწყვეტია. მაგალითად, 1968 წელს, მეხიკოდან ოლიმპიური ოქროთი რომ დავბრუნდი, სოსუმში ბინა არ მომცეს – არ გვაქვს მაგის საშუალება... 1972 წელს, მიუნხენში მეორე ოლიმპიური ოქროს მოგების შემდეგ საქართველოს სპორტკომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა გიორგი სიხარულიძემ დამიბარა და თბილისში, დიღმის მასივში ბინა გადამიცა. მართალია 14-სართულიანი კორპუსის ბოლო სართული იყო, მაგრამ იმ დროს უკვე დაოჯახებული ვიყავი და ბინა ჩემთვის დიდი შეღავათი იყო.

70-იანი წლების მიწურულს, მოსკოვის ოლიმპიადის მოსამზადებელ პერიოდში, საბჭოთა ნაკრებს ვიტოვებ კრეერი ხელმძღვანელობდა. ის ნორმალური მწვრთნელი იყო, მაგრამ ცუდი მასწავლებელი აღმოჩნდა. ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ იმ-იტომ დავშორდით, რომ მას ჩემი არ სჯეროდა, არადა წლების მანძილზე ვთანამშრომლობდით. პირდაპირ გეტყვით – თამაშების წინ დამაყვედრეს, რომ ოლიმპიადაზე დამიშვეს! გახსოვთ ალბათ, საოლიმპიადოდ შესარჩევ ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დავიკავე – მხოლოდ და მხოლოდ სანტიმეტრი წავაგე საკვალი-ფიკაციო ტურნირის მესამეადგილოსანთან. მეოთხე ადგილი ღირცნაობისთვის საკმარისი იყო, ეს კარგად ვიცოდი და ფეხებს ზედმეტად არ ვტვირთავდი. კრეერმა კი ეს ამბავი დაიხვია ხელზე... იმ დღეებში არაერთი უსიამოვნო საუბრის გადატანა მომიხდა, არ მიყვარს ხოლმე იმ დღეების გახსენება.

მოსკოვის თამაშები ჩემი მეოთხე ოლიმპიადა იყო. არავის სჯეროდა ჩემი, საბჭოთა სპორტის მესუვერები ვიქტორდენენ რომ ასაკის გამო უშანსოდ ვიყავი. სულ მარტო დამტოვეს! ისე, მაღალჩინოსნებს არც გაემტყუნებოდა – 35 წლისას მეოთხე ოლიმპიურ ოქროზე რომ გქონდეს პრეტენზია, თანაც, ფაქტობრივად ხეიბარ კაცს, ამის წარმოდგენაც კი ძნელია. მი-თუმეტეს სამხრეთში.

1980 წლის თამაშებში ჩემი მონაწილეობა დიდად განაპირობა იმანაც, რომ საქართველოს წარმომადგენელი – რესპუბლიკის ყველა დონის ხელმძღვანელი დაინტერესებული იყო თამაშებში ჩემი მონაწილეობით. როცა ჩემი საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, სკკპ-ის ცენტრალურ კომიტეტში სპორტის მაშინდელი კურატორი, შემდგომში მინისტრი პაველ გრომოვი შემხვდა და მენტორული ტონით მითხრა, გადაწყვიტეთ თამაშებზე გამოხვიდეთ. ვუთხარი, წიწილები შემოდ-გომით დავითვალთო, ჩვენ ამ თემაზე კიდევ ვისაუბრებო-მეთქი.

მოსკოვში მეორე ადგილზე გავედი. იმ თამაშებზე ჩემთვის ყველაფერი უკუღმა რაღყო – ჯერ ფეხის ტრავმა, მერე ქარი... რაც შეეხება იააკ უედმიანს, ვინც ოქრო მოიგო, მის მიმართ არავითარი წყენა არ მაქვს. მას ძალიან ვაფასებ! მისი რა ბედალია, რომ ვიღაც უხინდისო მოხელეებმა ნახტომის გახსომის დროს მას რამდენიმე სანტიმეტრი აჩუქეს... ჩვენ ბოლოს 2004 წელს, ათენში შეხვედით ერთმანეთს. მაშინ ის ესტრენოთის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო... ყველაფერს რომ ხაზი გადავუსვა, იააკს მაინც დავაფასებ, რადგან სამი ვაჟის და ორი ქალიშვილის მამაა!

მე ორი თვისება აღმომაჩნდა, რომლებმაც ხელი შემეწყვეს წარმატებაში. ერთი თვისება თანდაყოლილია – გამარჯვების წყურვილი. მეორე თვისება კი წლების განმავლობაში გამოიმუშავდა, რომელიც შეიძლება ვუწოდოთ „წარმატებისგან გაუსხიება“ – დაივიწყე გუშინდელი შედეგი, გვერდზე გადადევ უკვე აღებული შედეგი და დღეობაზე შეუდექი ხეაღინ-დელი შეჯიბრებისთვის მზადებას! რა თქმა უნდა, ეს არ არის რაღაც ახალი რეცეპტი, მაგრამ უკეთესი ჯერ არავის მოუწონია. ყოველ მომდევნო შეჯიბრებაზე ვცდილობდი იმ მომენტისთვის შესაძლებ-ლის მაქსიმუმი შეეხებინა. თუ საჭიროება მოითხოვდა, ხანდახან შეუძლებელიც უნდა შემეძლებოდა!

1988 წელს სეულში და 1992 წელს ბარსელონაში საბჭოთა სპორტის მესუვერები ჩემი წაყვანა არც უფიქრიათ, თუმცა სეულის წინ ოლიმპიური ჩირად-დით ერთი მონაკვეთი კი მარბენინეს... ისე, არც ატლანტაში გახლდით, არადა ძალიან მაინტერესდა საქართველოს ოლიმპიური გუნდის დებიუტი.

გაცილებია ბედი ნამდვილად არ მაქვს – დიდი სპორტიდან არც საქართველოში

გავუცილები ვინმეს და არც მოსკოვში. სპორტში მეგობრობა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ალბათ, შეუძლებელია. სხვა რა გითხრათ? მეგობრები ჩემი კონკურენტები არასდროს ყოფილან. ისე, ძალიან თბილი ურთიერთობა მაკავშირებდა ივორ ტერ-ოვანესიანთან, საშა ავილოვთან, იური სედიხთან, რობერტ შავლაყაძესთან, ვოვა გუცაევთან...

დიდ სპორტში მხოლოდ ნიჭის ამარა ვერაფერს გახდები. მხოლოდ უმძიმესი, აუტანელი, ინტენსიური შრომით ყალიბ-დება კარგი სპორტსმენი. ვარჯიში არ უნდა დაგეზაროს – ის რომ ვთავდაჯერე-ბისა და საკუთარი თავის გაწვრთნის საუკეთესო საშუალებაა. და კიდევ: მაღალ შედეგზე ორიენტირებულმა მძლეოსანმა საკუთარი თავისადმი ჭეშმარიტად პროფესიული დამოკიდებულება უნდა გამოიქვეყნოს. ყველგან და ყველაფერში. გარკვეულთ ვაღალატის, ის ასკეტურ ცხოვრებასაც უნდა ეწოდეს, უნდა მქონდეს ანალიზის უნარი, შეცდომებზე დაფიქრების სურვილი, არ უნდა დაკომპლექსდეს მარცხით.

საქართველოში რატომ არ გამიჩნდა მიმდევრები? ამაზე მეც ბევრჯერ მიფიქრია: თითქოს სამჯერ მოგებულ ოლიმპიადას ამ სახეობის ბუმი უნდა გამოეწვია, მაგრამ... იცით, ახალგაზრდებს თვლისდაუღერებლად სურდათ მიხნის მიღწევა, ასე კი არაფერი ხდება. ალბათ ესაა ყოველივეს მიზეზი.

შემიძლია ხატვით დავიფიქრო – მასტიმ-ულირებულ საშუალებებს არ ვიცილებდი. ეს ჩემი პრინციპი იყო, თუმცა იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ შემოთავაზება არ ყოფი-ლა. რაც შეეხება ნაკრებში ჩემს კოლეგებს, მათზე ვერაფერს ვიტყვით. შესაძლოა ვინმე იტვიპებოდა კიდევ ანაბოლიკებით.

სპორტსმენის მზადების სისტემა საბ-ჭოთა კავშირში, აღმოსავლეთ გერმანიაში, კუბაში, ჩინეთსა და ვიეტნამში, რუმინეთში, უნიკალური იყო და მისი ხელაღებით უარყოფა, ჩემი აზრით, არ შეიძლება. ავს-ტრალიაზეც ვეტყვით – აქ ყველაფერი აქეთ: სასმელ-საჭმელი, სპორტული ინვენ-ტარი, დარბაზები, სამედიცინო უზრუნვე-ლყოფაც, მაგრამ სწორედ სისტემა მოიკოვლებს. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: სწორედ იმ საბჭოთა სისტემამ დაღუპა ძალიან ბევრი კარგი სპორტსმენი. მაგალითი გნებავთ? არ შემხვედრია უფრო დიდი ტალანტი, ვიდრე სიმდლეუე მს-ტომელი ვლადიმერ იაშჩენკო იყო. მაგრამ ის უაზრო ექსპლოატაციით დაღუპეს, ტრავმირებული ტკივილგამაყენებელი გაჭყეპილი გაჭყავდათ ხოლმე საასპარე-ზოდ... ჩემს მიმართაც იგივე მეთოდით მუშაობდნენ, მაგრამ ვუძალიანდებოდი. ალბათ, ამიტომაც შემოვრჩი ბილიკს ასე დიდხანს.

ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სრუ-ლად ჯანმრთელი და სტარტისთვის ფიზიკურად სრულფასოვანი არასდროს ვყოფილვარ. მიუხედავად ყველაფრისა, უბედნიერესი კაცი ვარ – საყვარელ სახ-ობაში ყველა ოცნება ავიხიენე!

ნებისმიერი შეჯიბრების წინ მკვლარით მემძინა ხოლმე. აი შეჯიბრების შემდეგ კი, შედეგის მიუხედავად, ორი-სამი დღე თვალს ვერ ვხედავდი, ვბორბავდი და უაზროდ დაგებობილობდი.

ჟურნალისტებთან ყოველთვის ნორ-მალური დამოკიდებულება მქონდა, მაგრამ მათ მაინც ყოველთვის გავრბობდი. გახეთუ-ბიდან და ჟურნალებიდან ამონაჭრებით ორი ჩემოდანი სახსე მქონდა – ცხოვრული დედაჩემი აგროვებდა...

სპორტის სხვა სახეობებიდან ძალიან მიყვარს ფეხბურთი. თბილისში თუ ვიყავი, „დინამოს“ მატჩებს არ ვაცდენდი. სხვათა შორის, სოსუმში ერთ გუნდში ვთამაშობ-დი იმ მე და სერგეი ბაგაფში, აფხაზეთის ექს პრემიერ-მინისტრი.

ავსტრალიაში 1992 წელს კონტრაქტი წამოვედი, პრესტიჟულ კოლექტუნ-ში დავიწვე მუშაობა. ეს არაა სპორტული კოლექტი, მაგრამ სპორტში მეცადინეო-ბისთვის იდეალური პირობები შექმნეს. საცოდაობაა, რომ იქ მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები არ იხრდებიან. მოკალი თუ ვინდა – ვარჯიში არ უნდათ, ცოტაოდენით კმაყოფილებიან... იმ კოლექ-ტმა ბინაც მომცა, ჩემი შვილიც კარგად მოეწყო. 5 წლის შემდეგ სტრუაგია აირია – კონტრაქტი რომ დამიმთავრდა, მომთაბარე ცხოვრებაც მაშინ დავიწყე. გაურკვეველობა თითქმის 3 წელიწადი გაგრძელდა.

ერთი პერიოდი ძალიან გამიჭირდა – უმუშევრობა გამოგრძელდა და ღამის თვის მოკვლაზე დავფიქრდი... იქამდე მივედი, რომ გახეთქი გაცხადებდა გამოვქვეყნე: მე, ესა და ეს პიროვნება, ჩემი ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებს ვყიდო-მეთქი. მაგრამ უბედურება იცით რა იყო? ყველას მუქთად უნდოდა! ყველაზე მაღალი ფასი, რომელიც შემომ-თავაზეს, 5 ათასი დოლარი იყო. ავს-

ტრალიაში ეს თანხა მაქსიმუმ ორი თვე გეყოფს. კიდევ კარგი ოჯახის წევრებმა და აქაურმა ნაცნობებმა მედლების გაყიდვა გადამაფიქრებინეს...

გაგეცინებათ, მაგრამ 90-იანი წლების მიწურულს პიკასაც დავატარებდი. ვთქვით, ვიღაც ლაწირაკს ან მოხუცს ნასადილევს ან ძილის წინ პიკა რომ მოუნდებოდა, დარეკავდა ჩვენთან ოფისში, შეუკვეთავდა და მე, სამი ოლიმპიადის ჩემპიონი ვიქტორ სანევეი მივიღიოდი და შინ მივართმევდი პიკას... გიკვირთ? არადა იყო ასეთი დროც. თუმცა მუშაობა არასდროს მითაკილია. ვმუშაობდი, ხომ არ ვიპარავდი? იმ დროს სხვა გზა უბრალოდ არ მქონდა.

აქ სპორტსმენის ოჯახის შექმნას რაიმე ფორმით წინ რომ აღუდგე შეიძლება სასამართლოშიც გიჩივონ, სამსახურს კი ნამდვილად დავტოვებინებენ – მო-ქალაქის პირად ცხოვრებაში ჩარევად ჩავითვლიან. ჩემ დროს სხვანაირად იყო – საბჭოთა სპორტსმენები უფლები ვიყავით. თუ მწვრთნელს არ უარესი, სპორტის მაღალჩინოსანს არ დამორ-ჩილებოდი, სერიოზულ შეჯიბრებაზე ვერც იოცნებებდი.

ავსტრალიაში სამხრეთში წარმატებული ათლეტის გაზრდა ძალიან ძნელია. აქაურ-ები განებიერებულნი არიან, კარგად ცხ-ოვრობენ, ყოფითი პრობლემა არ აქვთ, მხოლოდ თავიანთი სიამონებების ვარ-ჯიშობენ... როგორ გითხრათ? აი, მსხვერ-პლის გაღება, რაც წარმატების წინაპირობაა, არ უნდათ. სპორტში ვერ ხელავენ თავიანთი პროფესიული შესა-ძლებლობის რეალიზაციის საშუალებას. ავსტრალიელებს ყველაფერი უნდათ, ოცნდენ მცირე მიღწევაც აკმაყოფილებთ.

1995 წელს მოსკოვში ვიყავი. მიიხრეს, მიდი იური ლუკოვიან (მოსკოვის ყოფილი მესი), ახლა ირინა როდინას უმუნებს მისივე სახელობის სპორტულ ცენტრს, შენც ავიშენებს, ამხელა სპორტსმენი ხარ, არ დაგაყვედრისო... არ მივსულვარ. არ ვარ ასეთი ამბების კაცი, ვარ „ვიინაინი“. ამდენი ხანია წამოსული ვარ და მიუხე-დავად იმისა, რომ ყველანაირი თვალ-საზრისით აწყობილ ქვეყანაში ვცხოვრობ, ელემენტარული პირობები რომ მქონდეს, საქართველოში დაუფიქრებლად დავბრუნ-დებოდი.

ვნანობ თუ არა რამეს? არა. დაუფიქრე-ბლად გავივლიდი იგივე გზას. ამბობენ, სანევეი სპორტში „გაუმძაღარი“ იყო. პრინციპში, ეს სიმართლეა: არ ვოცნებობდი მანქანებზე, არც ბინაზე და არც სხვა რამეზე – ჩემი ცხოვრების მიზანი მხოლოდ სპორტული შედეგი იყო – მეტრები და სანტიმეტრები!

რა მომცა დიდმა სპორტმა? იცით, პირველ რიგში ალბათ მოხდა ჩემი, რო-გორც პიროვნების შესაძლებლობების – ფიზიკურად ვუვლისხო და ინტელექტუ-ალურსაც – რეალიზაცია. ჩემი სახელი საშუალოდ შევიდა მსოფლიო სპორტის ისტორიაში. განა ეს ცოტაა? მაგრამ დიდმა სპორტმა ურთულესი ტრავმები მომიტანა, აუტანელი ტკივილები და ავადმყოფობა.

ვინ მაკალია ყველაზე მეტად? დედა! ხშირად ვიხსენებ, როგორ ვერ ვეუბოდა დედაჩემი ერთადერთი ვაჟის შორეულ მეზაფრობებს... მახსენდება, როგორ ზრუნავ-და, რომ შინ ყველაფერი წესრიგში ყოფი-ლიყო. ინსტიტუტიდან თუ სტადიონიდან დაბრუნებულს, ყველანაირად მიწყობდა ხელს, რომ კარგად დამესვენა... როგორ მიწესრიგებდა სპორტულ ფორმას – დედა ყოველდღე რეცხავდა და მიუთოვებდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არც იყო საჭირო... მას სურდა სტადიონზე მისი შვილი არ მარტო ყველაზე ძლიერი, არამედ ყველაზე მოვლილი, ყველაზე სუფ-თა და ყველაზე ღამაზი ყოფილიყო! რა ენერგიას ხარჯავდა გემრიელი წვენების, ნახარშების, კომპოტების, მურაბების მომზადებაში! ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ იტანჯებოდა ჩემთან ერთად, როცა ტრავმას ვიმუშებდი. მახსენდება მისი ბალახები, ნაყენები, ხველი საფენები, კომ-პრესები... საათზე დახვედა არ მჭირდებოდა: დედას არასდროს ავიწვებოდა ჩემთვის სახვევის გამოცვლა, წამლის დაღვევა, მასაჟის გაკეთების შესხენება... ერთ მშვე-ნიერ დღეს დედა წავიდა. სამუდამოდ.

ნოსტალგიური კაცი ვარ: შინ ვზივარ, ვკითხულობ და ვფიქრობ. დღეს ჩემი ცხ-ოვრება მინორტონურია. ძალიან ხშირად მოვონებებში ვიძიებდი. ამდენი ფიქრისა ხანდახან მემინია კიდევ.

იცით, სპორტული კარიერის მანძილზე თითქმის ყველა პუბლიკაციაში მიწოდებ-დნენ „კენგურუს აფხაზეთიდან“ ან „კენგუ-რუს საქართველოდან“. კენგურუს სამ-შობლო ავსტრალიაა და ალბათ სიმ-ბოლურია, რომ ცხოვრების მიწურულს სწორედ ავსტრალიაში ვატარებ...

სპორტული კუთხე მიჰყავს შურნაღისტ ბიორბი ჯალალანიას მიხეილ ოპარატიონთან და ყველა მკურნალებს პაიროვანი კოსმა ბაჰეზაჰინი



ნოდარ ხიზანიშვილი თბილისის „დინამოში“ წინა საუკუნის 70-80-იან წლებში ასპარეზობდა. ამჟამად მცველი გახლდათ და იმდროინდელი „დინამოს“ ყველა წარმატების ერთ-ერთი ფუძემდებელი. სამწუხაროდ სსრკ-ის ნაკრების მწვრთნელები არ წყალობდნენ და ამ გუნდში მხოლოდ ერთი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა. იმ ნაკრების თავკაცებმა ამ გადაწყვეტილების სისწორე თავად იკითხონ, ნოდარ ხიზანიშვილი კი ქართველი გულშემატკივრის დიდი სიყვარულითა და პატივსივლით სარგებლობდა.

დღეს ნოდარ ხიზანიშვილი ჩვენი სტუმარია და საკუთარ სპორტულ კარიერას თავად გაიხსენებს.

„ნემი პირველი მწვრთნელი ღერი ვერულძე იყო, ძალიან მკაცრი და კარგი კაცი. სიბიჭვდელ უყვარდა თავის საქმეს! სხვათა შორის, სწორედ ბატონი ღერის რეკომენდაციით მწვრთნელი 16 წლის ასაკში სახსოთა კავშირის ჭაბუკთა გუნდში. მაშინ ჩემთან ერთად ქუთაისელი ბადრი ფარულავაც მიიწვიეს... სხვათა შორის, სწორედ იმ გუნდში გავიცანი უკრაინელები ღერონდ ბურიაკი და ოლეგ ბლოხინი, რომელთა წინააღმდეგ წლების შემდეგ უამრავჯერ ვითამაშე.

დიდ ფეხბურთში ჩემი დებიუტი საკავშირო მეორე ლიგაში, ბათუმის „დინამოს“ მაისურით შედგა. იმ დროს, ძირითადად, მარჯვენა მცველად ვითამაშობდი, თუმცა როცა თბილისის „დინამოში“ გადავიქცევი, რამდენიმე პოზიციაზე გამოსწავს. მაგალითად, პირველ შეხვედრაში მარცხენა მცველი ვიყავი, მაგრამ იმ შემთხვევაში კი ცენტრალური მცველის პოზიციაზე ჩავატარე.

მიუხედავად იმისა, რომ ამდღეს სმირად მიცვლიდნენ, ყველაზე ძალიან დაცვის ცენტრში თამაში მიყვარდა. ფლანგზე

სხვა მოთხოვნებია, მეტი სისწრაფე მოგეთხოვება, მე კი არ ვიყავი მაინცდამაინც სწრაფი. შეტევების დაწყება კი არა, მეტოქის იერიშების შეჩერება უფრო კარგად გამოდიოდა.

თბილისის „დინამოში“ პირველად 1974 წელს გადავივიდი, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, პეპატრიტი შემეყარა და ლამის მთელი წელი ვმკურნალობდი, მინდორს არც ვაგვიკარებოვარ. ლამის ყველამ ჩაიქნია ჩემზე ხელი, ველოდი რომ გამოშვებდნენ, მაგრამ მთავარ მწვრთნელად მოსულმა გიგი ჩოხელიმ, რომ იტყვიან, კიდევით დაძვირდა და კლუბში დამტოვა. მიუხედავად ამისა, მალე საკუთარი სურვილით დავტოვე გუნდი. რატომ? სახელგანთქმული თანაგუნდლებით ვითრეგუნებოდი. ალალად ვიტყვი, ვერაფრით წარმომედგინა როგორ უნდა გამეწვია კონკრეტული მურთაზ სურვილავასთვის და რვეაზ მოქაშვილისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სურვილით წავედი, მალე მაინც დაამბრუნეს. როგორც ჩანს, ჩემი იმედი კიდევ ჰქონდათ. ასეთმა ნდობამ შეუძლებელია აღამიანზე უარყოფითად იმოქმედოს და მეც, ცხადია, ფრთხილ შემეხსა – 1975 წლიდან ძირითადი შემადგენლობის მითამაშე გავესი!

იმ დროს, როცა კლუბში ჩემს ადგილს ვიმკვიდრებდი, მიხაილ იაკუშინი გვწვრთნიდა. კარგი კაცი იყო, მის მთავარ პლუსად იმ მხარეს იხსენებოდა, რომ ახალგაზრდებს გვენდობოდა და ხშირად გვაძლევდა თავის გამოჩენის შანსს. ცხადია, იაკუშინს მიწვევებიც ჰქონდა, მაგრამ ამა მითხარით, გინახავთ უნაკლო კაცი?

ნოდარ ახალკაციც ახალი აბა, რა უნდა ვთქვა? მგონია, რომ მან რამდენიმე წლით გასწვრივ თავის თაობას: ძლიერი, მკაცრი, მაშინთვის სპეციალისტი გახლდათ. შესანიშნავად იცნობდა თავის ფეხბურთელებს და შეედლო თითოეული მათგანისგან მაქსიმუმი მიეღო. ჩვენ ნიჭიერი ხალხი არასოდეს გვაკლდა, მაგრამ თუ მიღწეული შედეგებით ვიმჯავლებით, ალბათ შეუთანხმდებოდა, რომ ახალკაცი საუკეთესო მწვრთნელი იყო!

პირველ დიდ წარმატებას 1976 წელს მივაღწიეთ: ერთ სეზონში საკავშირო პირველობის ორი ბრინჯაოს მედალი მივიღეთ, მათ შუა კი თასის გათამაშებაც გავიმარჯვებო! ასეთი ხევაგრიელი წელიწადი „დინამოს“ მანამდე არ ჰქონია და მიხარობდა, რომ მისი მონაწილე, ერთ-ერთი შემოქმედი ვიყავი! როგორია: 1976 წლამდე „დინამო“ ხუთჯერ იყო საკავშირო თასის

ფინალში და ერთხელაც ვერ მოიგო, ჩვენ კი ერთხელ „არარატი“ გავანადგურეთ – 3:0! სომხები ჩვენი პრინციპული მეტოქეები იყვნენ...

1977 წელს „დინამოში“ თამაზ კოსტავა გამოჩნდა, რომელიც ჩემი მთავარი კონკურენტი გახდა. ის მშვენიერი მცველი იყო, ნიჭიერი, გონებაგახსნილი, ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ სამწუხაროდ, ტრავმებმა არ მისცა შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება. გულახდილად გეტყვით: თამაზ კოსტავა მანფრედ კალცის და რვეაზ მოქაშვილის დონის მარჯვენა მცველად მიმაჩნია!

1978 წლის საჩემპიონო სეზონი ძირითად შემადგენლობაში დავიწვეე, 12 ტური უცვლელად ვითამაშე, მაგრამ მეორე სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლე და მხოლოდ სამჯერ შევიდი შეცვლაზე. ეს ჩემთვის დიდი დარტყმა იყო, მაშინ ვფიქრობდი, რომ ყველაფერში ახალკაცი იყო დამნაშავე, რომ მწვრთნელი გადაამტკიცა და ამათვალწუნა... წლების შემდეგ, როცა ერთად ვმუშაობდით ფეხბურთის ფედერაციაში, ბატონ ნოდარს ვკითხე, 1978-ში ასე რატომ მომქექით-მეთქი. იცით რა მიპასუხა? ძალიან კარგად ვიცოდი რას აკეთებდით, ვისთან იყავი და იმხანაც ვხვდებოდი, რომ ფეხბურთმა შენთვის მეორე პლანზე გადაინაცვლა, სწორედ ამიტომ გადაგიყვანე სათადარიგოებში, სხვადასხვა არაფერი გეშეუბნებოდა.

1979 წლის სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გამოვიცა. მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩში დავშავდი – ვალერი გახავეს ვმეურვეობდი და ამ დროს ჩვენს მეკარეს დავით გოგიას შეეჯახე. კბილები ჩამიქვდა, სახე ვიტყინე, ყველაზე უარესი კი, რაც დამემართა, ტვინის შერყევა იყო. საკმაოდ დიდი დრო გამოვიცა, მეორე მენიკიც დამემართა და... იმ წელს პირველად გავვიდი ჩემი მითხარა, მე კი „ლიუერპოლთან“ შეხვედრები გამოვტოვე. მე კი არა, თასის ფინალშიც ვერ ვითამაშე...

მანუჩარ მანაიძის „დინამოდან“ გაშვება ბევრისთვის ძალიან დიდი მოულოდნელობა იყო – ის ხომ ჩვენი კაპიტანი გახლდათ! თუმცა ასეთი რადიკალური ნაბიჯებით ჩვენთან ვის გააკვირვებდით? თავის დროზე დაახლოებით ასე მოქმედებ მისხელ მესხს და მურთაზ ხურციღავას... მანაიძის წასვლის შემდეგ „დინამო“ ახლებურად ათამაშდა, ამან კი რაც მოგვიტანა, კარგად იცით: თითქმის ერთ წელიწადში თასების მფლობელთა თასი ავიდეთ!

დიუსელდორფში გამარჯვების შემდეგ ბევრმა თქვა, დიდი ამბავი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კლუბს მოუხვესო. ამას შურიანი ხალხი ამბობდა, თორემ როგორ შეიძლება შენი თანამემამულეების ასეთი გამარჯვება გეწყინოს? თანაც, მე რა რომ „კარლ ცაისი“ ვეროგრანდი არ იყო? ხომ არ გაიწვევდებოდა, როგორი კლუბები ჩამოიცილა ფინალამდე – „რომა“ და „ბენფიკა“? გერმანელები ძალიან კარგად თამაშობდნენ და გუნდიც შესანიშნავი მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული.

იენელები ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ თასს აიღებდნენ. ამას არც მაშინ მალავდნენ, 1981 წლის მაისში. ეგ კი არა, წლების შემდეგ, როცა ვეტერანებმა რამდენჯერმე ვითამაშეთ, გვიოხრეს – დღემდე არ გავჯერა, რომ დიუსელდორფში თქვენთან დავმარცხდიო...

იმ „დინამოს“ მთავარი პლუსი? ერთ-სულოვნება! გარდა იმისა, რომ ერთი თაობის ბიჭები ვიყავით, ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა – ოჯახებით ვმეგობრობდით, ამას კი გადაამწვევტ მომენტში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს! ეგვეც არ იყოს, ინდივიდუალურად ბრწყინვალე ფეხბურთელები გვეყავო! როცა ერთ გუნდში დავით ვიყავანი, ვლადიმერ გუცაევი, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, რამაზ შენგელია, შოთა ხინგაშვილი და თენგიზ სულაქველიძე თამაშობდნენ, იქ წარმატება რა გასაკვირია?!

„კარლ ცაისთან“ საფინალო სასტუმროს შემდეგ ვერ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ. მინდოდა ყველაფერი გამოემხატა და ყველას მოგვეჩვენებოდა, ყველასთვის გამეჩიარებინა ჩემი განწყობა... პოდა, მივედი ოპერატორთან და ყველა მაყურებელს პაიროვანი კოცნა გავუგზავნე – ვიცოდი, მთელი საქართველო ტელევიზორთან იქნებოდა... უამრავმა უცნობმა მითხრა, რომ იმ კადრის დახატვისას იტირა...

ამბობენ, რომ ფინალის შემდეგ, გახახვალში, დიდი სმა ატყვილა, რომ ყველა ფეხბურთელს დაუცვლია შამპანურით სავსე თასების თასი. ეს ტყუილია, ასე არ ყოფილა: ის თასი ერთხელ გაივსო ფრანგული შამპანურით და სანახევროდ დაიცალა. ფინალიდან 5 დღეში კიევი გველოდა მატჩი და მიუხედავად იმისა, რომ უზომოდ გახარებული ვიყავით, ბოლომდე არ მოვლენებულვართ.

რას ეპოვებს სააკაშვილი გამსახურდიაზე

„გამსახურდიამ დაიწყო როგორც დისიდენტმა და დაასრულა როგორც ტირანმა, ის სადაც შუხრის ჰეაეს“, – ამ შინაარსის განცხადება გააკეთა საქართველოს მიხეილ სააკაშვილმა 1992 წელს, პოლონურ გამოცემასთან („ვებოსტი“) მიცემულ ინტერვიუში. „საკაშვილი პუსენინი“ – ამ სათაურით გამოქვეყნდა სტატია პოლონურ ყოველკვირეულ გამოცემაში 1992 წლის იანვრის თვეში, სადაც სააკაშვილი მოხსენიებული არაა როგორც ოპოზიციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი, მაშინ, როდესაც სააკაშვილი „შოქლაქეთა კავშირის“ წევრიც არ გახლდა. ის ამ პერიოდში მუშაობდა ადამიანის უფლებათა ნორვეგიულ ინსტიტუტში ოსლოში. შემდგომ მცირე ხანს მუშაობდა საქართველოს დროებითი სახელმწიფო საბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანამშრომლად. სტატიის დასაწყისში ნათქვამია – ზვიად გამსახურდიამ მოუწოდა

ამერიკელ ხალხს – „ჯორჯ ბუში არ არის თქვენი პრეზიდენტი...“ ინფორმაცია ექსკლუზიურად პოლიტოლოგმა და ყოფილმა პოლიტპატიმარმა ვახტანგ მისიაიამ და პოლიტპატიმარმა ალექსანდრე ახალკაცმა „მარშალ-პრესს“ მიაწოდეს. სადაც პუსენინს სწორედ მკვლელები და ხაზინის ვირთხა დაშნაკი მიხო სააკიანიცი რომ დაემსგავსა, ამაში დღეს უკვე არც საქართველოში, არც უკრაინაში და არც სხვაგან, აღარავის ეპარება ეჭვი. იქნებ ახლა მაინც შეგნოს ზოგიერთმა გახახვალში არაბობამ, განსაკუთრებით ჩემს მშობლიურ კუთხეში – სამეგრელოში, რომ სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის მხარდაჭერით ისინი იმ საქართველოს წინააღმდეგ გამოდიან, რომელსაც თავის შესწირვს მერაბ კოსტავამ, ზვიად გამსახურდიამ და სხვა უამრავმა გულანთებულმა ქართველმა!

მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74
თბილისი, 0162, საქართველო
მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22
ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანჯორი ღანელიძე,
ტელ: 571 22 66 34

ზოგიერთ სკოლაში რატომ არ ისწავლება რუსული ენა?

უმრავლესობის დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თემურაზ მურდუღიას შეიტანოთ მიმართა: „ზოგიერთ სკოლაში რატომ არ ისწავლება რუსული ენა? ნუ ამოვიხმებთ ახლა, რომ ოკუპანტის ენაა თუ რაღაც. მე ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია, თქვენი აზრი როგორია?“, – მიმართა დეპუტატმა განათლების მინისტრის მოადგილეს. თემურაზ მურდუღიამ, განმარტა, რომ საქართველოს სკოლების საგანმანათლებლო უცხო ენა არის ინგლისური, მეორე ენას კი სკოლა თავად ირჩევს.

„საქართველოში ინგლისურის სწავლებლა აბსოლუტურად არის საგანმანათლებლო და ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი, რადგან ინგლისური არის ის ძირითადი ენა, რომელზეც დღეს მიიპოვება ყველაზე მეტი მასალა მეცნიერებაში, ყველაზე მეტი საგანმანათლებლო რესურსი. ამასთან, მეორე ენის არჩევანის პრობლემა არც ერთ სკოლას არ აქვს. ეს ენა არჩევითია. თუ სკოლა აირჩევს რუსულ ენას, შეუძლია, რუსული ენა ასწავლოს“, – განაცხადა თემურაზ მურდუღიამ.

სახელში დაბრუნებულმა სიძემ თავის კომპიუტერთან მჯდომი სიდედრი დაინახა და წაბოძახა:
– ასეთი ვირუსი ჯერ ჩემს კომპიუტერს ჯერ არ ჰქონია!
დათა თუთაშინა ისეთი მთვრალი იყო, ბეჩუნის ეუბნებოდა: გუდუნა გააღვიძე, მაშხერით სრულად უნდა გასწავლო.
ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს:
– ვაიმე, ნატუკა, მუშაობას ვიწყებ ჯანმრთელობის სამინისტროში.
– ვაიმე, დავუცი! შენ იქ რა უნდა აკეთო?
– რა და, წესრიგი უნდა დავამყარო.
– ვაიმე! რა მგაგარია! რა თანამდებობაზე დავინიშნეს?
– დამლაგებლად.
მასწავლებელი: რა დაემართება ოქროს სუფთა პაერზე თუ ვაგიტანო?
მოსწავლე: შოიპარაგვენ, მასწ...!
ტიპი მკითხავთან მივიდა, მკითხავმა ბანქოს ჩახვდა და ეუბნებოდა:
– ვაიმე რა უბედურებაა... ორ დღეში ცოლი მოიკვდებათ!
– ეგ ვიცი. შენ ის მითხარი, დამიჭერენ თუ არა.

სასწავლო და მეთოდური მასალები „დომინოლი“ და „გაგანოლი“ მუღამი იქნებოდათ თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში
დომინტი ბაზნაძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათვისებულ სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფერობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთოზას, ნევროზს, ფსიქოლოგიურ დაავადებებს, პეპტულურ გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დაზღვას, ყურებიდან ჩირქვანას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.
მეურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შეიღები: ზეზა და დოდო.
კოორდინატები: თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.
ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48
მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 „ილორი“
7 71 98 7 89 6 0 0 9

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარკმ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია
ბაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტელეფონური 568-01-21-32
ბაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
აბტორებს ემისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწილები აბტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთი „ილორის“ გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის“ ვებგვერდზე WWW.saqinform.ge